22/01/2025

MES 9 25 0000061677

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 27/12/2024
სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 20:17 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **თამარ ლომინაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე**;
2. **გოჩა თუთბერიძე -** შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
3. **დავით ტეფნაძე -** შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი**;

4. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **დავით გეგეჭკორი -** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესორი;
6. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
7. **აკაკი ხელაძე -** სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **ციური დურული -** სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9. **თამარ ტუფინაშვილი -** შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსსიტეტის აკადემიური მიმართულების ხელმძღვანელი;
10. **ვასილ კიკუტაძე -** შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
11. **დიანა მჭედლიშვილი -** შპს კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
12. **ქეთევან ნანობაშვილი -** შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
13. **გიორგი მირიანაშვილი -** შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
14. **ქეთევან ქუთათელაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზურუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები

გიორგი ირემაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ქეთევან პავლიაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი:

1. ქეთევან გოლეთიანი - ბიზნესისა და ლოგისტიკის ფაკულტეტის დეკანი, პროგრამების ხელმძღვანელი;

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი:

1. კახაბერ კორძაია - უნივერსიტეტის რექტორი;
2. მარინა გედევანიშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. ვახტანგ მაისაია - პროგრამის ხელმძღვანელი;
4. ეკატერინე ჭალაგანიძე - სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
5. არჩილ ორთანეზაშვილი - სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
6. მარია ესპონა - პროგრამის თანახელმძღვანელი.

შპს კავკასიის უნივერსიტეტი:

1. დიანა მჭედლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;

2. ნათია ქორქაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მენეჯერი;
3. მარიამ მენაბდე - არქიტექტურისა და დიზაინის სკოლის დეკანი, გრაფიკული დიზაინის პროგრამის ხელმძღვანელი;
4. მარიამ იაშვილი - გრაფიკული დიზაინის პროგრამის თანახელმძღვანელი.

შპს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი:

1. ლაშა ჩახვაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
2. ჟანეტა კილასონია - ჟურნალისტიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

1. თამარ კბილაძე (წევრი)(I საკითხი);
2. ნინო გორგოშაძე (წევრი)(I საკითხი);
3. სანდრო ტაბატაძე (წევრი)(I საკითხი);
4. გიორგი ვარდიაშვილი (წევრი)(I საკითხი);
5. ჟანა სირბილაძე (წევრი)(II საკითხი);
6. ნინო ტალიკაძე (წევრი)(II საკითხი);
7. ნათია მაღალაშვილი (წევრი)(II საკითხი);
8. ლევან ხარაზიშვილი (თავმჯდომარე)(III საკითხი);
9. ლეილა გრიგოლია (წევრი)(III საკითხი);
10. ეკატერინე ფიფია (თავმჯდომარე)(IV საკითხი);
11. ნინო ქიმერიძე (წევრი)(IV საკითხი).

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ლომინაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1.შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ,,ლოგისტიკის" საბაკალავრო და „სატრანსპორტო ლოგისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1.შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ,,ლოგისტიკის" საბაკალავრო და „სატრანსპორტო ლოგისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
5. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "აუდიოვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №41761 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
6. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "საზოგადოებასთან ურთიერთობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 დეკემბრის №1626329 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი: შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ,,ლოგისტიკის" საბაკალავრო და „სატრანსპორტო ლოგისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა 1
1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ლოგისტიკა;
2. საფეხური - ბაკალავრიატი;
3. სწავლების ენა - ქართული;
4. ECTS კრედიტების რაოდენობა - 180;
5. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მენეჯმენტის ბაკალავრი;
6. დეტალური სფეროს კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;

პროგრამა 2
1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - სატრანსპორტო ლოგისტიკა;
2. საფეხური - მაგისტრატურა;
3. სწავლების ენა - ქართული;
4. ECTS კრედიტების რაოდენობა - 120;
5. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ლოგისტიკის მაგისტრი;
6. დეტალური სფეროს კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ჯინ რომ რაზეს პოზიცია საბჭოსა და დამსწრე პირებს გააცნო ცენტრის წარმომადგენელმა, მიმართვაში აღნიშნულია, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიში, საგანმანათლებლო პროგრამები, პოლიტიკის დოკუმენტები, წესები და სხვა, რომლებიც იძლევა ინფორმაციას იმის შესაფასებლად, შეესაბამება თუ არა პროგრამები აკრედიტაციის სტანდარტებს. პროგრამების შემუშავების და მოდიფიცირების საფუძველი გახლდათ საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები, პროგრამის განხორციელების ყოველწლიური მონიტორინგის შედეგები, დაინტერესებული მხარეების (პროგრამის სტუდენტები, განმახორციელებლები, კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები და დარგის ექსპერტები) მოსაზრებების კვლევის შედეგები, მათი რეკომენდაციები და ა.შ. დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ განხორციელდა ორდღიანი ვიზიტი, რომელიც მოიცავდა გასაუბრებებს და ინფრასტრუქტურის დათვალიერებას. 5 ექსპერტისგან შემდგარმა ჯგუფმა, რომელთაგან ერთი იყო საერთაშორისო ექსპერტი, გულდასმით შეამოწმა კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით. ადგილზე ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული როგორც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, ასევე ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ. ყველა გასაუბრებამ და დათვალიერებამ მოიტანა კარგი შედეგები, გასაუბრებებში მონაწილე პარტნიორები კარგად იყვნენ შერჩეული და მომზადებული. ვიზიტი წარიმართა ღია და კონსტრუქციულ გარემოში. მიგნებები აღწერილია საბოლოო დასკვნაში, რომელიც მიეწოდა დაწესებულებას და წარმოდგენილ იქნა მათი კომენტარები და შემდგომ კიდევ ერთხელ კრიტიკულად გადაიხედა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. შეჯამების სახით, განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო შემდეგი გარემობები: მზაობა ლოგისტიკის სწავლებისთვის როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო დონეზე; მენეჯმენტის თავდადებული მხარდაჭერა პერსონალის მიმართ (განსაკუთრებით მოწვეული პერსონალის და სტუდენტების მიმართ); თანამშრომლობა და კომუნიკაცია ყველა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან და დამსაქმებლებთან, განსაკუთრებით აღნიშნულ სფეროში; ძალიან კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია და რჩევა, რომელთაგან შეიძლება აღინიშნოს შემდეგი: კვლევითი კომპეტენციის განვითარება საჭიროებს მეტ ყურადღებას; სტუდენტების ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა საკითხში, საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში სტუდენტთა ჩართულობის ნაკლებობა; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. კერძოდ პრობლემები პროგრამის სახელწოდების ჩარჩოსთან შესაბამისობასთან დაკავშირებით (უნივერსიტეტის საზოგადოების მიერ გაზიარებულია გაძლიერებული კულტურა); პროგრამის შინაარსი, განსაკუთრებით სამაგისტრო დონეზე (ინგლისური ენის და ტრანსფერული უნარების ჩათვლით); უნდა დადასტურდეს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების ხარისხი. უნდა აღინიშნოს, რომ “ლოგისტიკის” საბაკალავრო პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია

მეორე სტანდარტის მოთხოვნებთან და შესაბამისობაშია ყველა სხვა სტანდარტთან, ხოლო "სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია პირველ და მეორე სტანდარტთან და შესაბამისობაშია დანარჩენ სტანდარტებთან. პროგრამების ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მიღწევების და/ან პროგრესის შესახებ მოკლე მიმოხილვის წარმოდგენა. ექსპერტთა ჯგუფი წარმატებას უსურვებს დაწესებულებას შემდგომ განვითარებაში და მადლობას უხდის ადგილზე ვიზიტის დროს შექმნილი კარგი ატმოსფეროსთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, ქეთევან გოლეთიანი, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს და აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები იყო მნიშვნელოვნი პროგრამის განვითარებისათვის. გამოყო რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ კლასტერის საერთო რეკომენდაციიდან მეექვსე (5.1 კომპონენტი), რომ თვითშეფასების გუნდის შექმნისას მკაფიო უნდა იყოს პროცედურები და მხარდაჭერილი მტკიცებულებები ,მათ შორის, შემადგენლობის, საქმიანობისა და უფლებამოსილების შესახებ. აღნიშნა, რომ ეს საკითხები აღწერილია თვითშეფასების ანგარიშში და გაწერილია პროგრამების შემუშავების და განვითარების დებულებასა და მეთოდოლოგიაში. ასევე, დასტურდება იმ გრაფიკით, რომელიც დაწესებულებამ მიაწოდა დამატებით და ასევე საოქმო ჩანაწერებით. შესაბამისად მიაჩნიათ, რომ პროცესში თვითშეფასების ჯგუფის ყოველი წევრის ჩართულობა, უფლებამოსილება და კომპეტენცია აღწერილია თვითშეფასების ანგარიშში. რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა დისტანციური სწავლებას, მან განაცხადა, რომ დისტანციურ სწავლებას დაწესებულება აღარ ანხორციელებს კოვიდ პანდემიის შემდეგ და ელექტრონული სწავლების მექანიზმები კი წარმოდგენილია დამატებითი დოკუმენტაციის სახით. ასევე, რეკომენდაციები ეხებოდა „სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო პროგრამის სახელწოდების „ლოგისტიკის" სამაგისტრო პროგრამად გადაკეთებას, რასაც დაწესებულება დაეთანხმა და აღნიშნა, რომ „სატრანსპორტო ლოგისტიკა" იყო მოდიფიცირებამდელი სახელწოდება. ის ასევე დაეთანხმა რეკომენდაციას, რომ „სატრანსპორტო ლოგისტიკის" პროგრამაში შედიოდეს „მენეჯერული აღრიცხვის" კურსი. B2 დონეზე ინგლისური ენის სწავლების შესახებ გაცემულ რეკომენდაციათან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები შიდა გამოცდების ზღვარი B2 დონეა და შესაბამის გამოცდას ატარებს ენების ცენტრი. შეაბამისად, გაუგებარია რეკომენდაციის შინაარსი, თუმცა მოხდება ამ საკითხის შინაარსობრივი გადახედვა. ასევე, რეკომენდაცია გაცემული იყო სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშრებით, აღნიშნა, რომ 100 ქულიანია შეფასების 2%-იანი ხვედრითი წილი არის ზეპირი წარდგენის წილი. სამაგისტრო ნაშრომის შექმნისა და ასევე წარდგენის კრიტერიუმები გაწერილია სილაბუსში. აღინიშნა, რომ გაცემული რჩევები დაწესებულებისთვის მისაღებია და ისინი გადახედავენ მათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრ, გიორგი ღაღანიძეს, კითხვა ჰქონდა საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით. კერძოდ, მას აინტერესებდა, რამდენად შეესაბამებოდა პროგრამის სახელწოდება „ლოგისტიკა" და პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია „მენეჯმენტის ბაკალავრი" ერთმანეთს და ხომ არ გამოიწვევდა ეს სტუდენტების შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან გოლეთიანმა, განაცხადა, რომ ახალი პროგრამის საფუძველია საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა. იგი შესაბამისობაში მოყვანილ იქნა დარგობრივი მახასიათებლებთან. შესწავლილი იქნა უცხოეთის და პარტნიორი უნივერსიტეტების ანალოგიური პროგრამები, სადაც მისანიჭებელი კვალიფიკაცია ,,მენეჯმენტია'', ხოლო პროგრამის დასახელება არის „ლოგისტიკა". 180 კრედიტიან სისიტემაზე გადასვლაც სწორედ ამ ანალოგიით იყო განპირობებული. საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ

აღნიშნა, რომ დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, თუ კი მისანიჭებელი კვალიფიკაცია მენეჯმენტია, არ შეიძლება არჩევით საგანი იყოს „ოპერაციათა მენეჯმენტი“ და „სტრატეგიული მენეჯმენტი“. აუცილებელია, ისინი ისწავლებოდეს სავალდებულო დისციპლინად. ქეთევან გოლეთიანმა აღნიშნა, რომ ეს საკითხები იქნებოდა გამოსწორებული და დარგობრივ დოკუმენტთან სრულ შესაბამისობაში მოყვანილი. ხოლო, რაც შეეხება, სამაგისტრო პროგრამაში „სტრატეგიული მენჯმენტის“ კურსს, ის დარგობრივი მახასიათებლების დოკუმენტის შესაბამისად იყო წარმოდგენილი, რაზედაც საბჭოს წევრს ჰქონდა კომენტარი, რომ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენუილი „სტრატეგიული მენეჯმენტის“ სილაბუსში მითითებული ლიტერატურა, ცალსახად შეესაბამებოდა საბაკალავრო დონის სწავლებისათვის განკუთვნილ ლიტერატურას. იგივე ეხებოდა „საერთაშორისო ბიზნესის“ კურსსაც. რაც შეეხება სამაგისტო ნაშრომებს, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია მოხდეს სამაგისტრო ნაშრომების დასკვნა-რეკომენდაციების ნაწილის გაუმჯობესება. ქეთევან გოლეთიანმა განაცხადა, რომ სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით დაწესებულებას უკვე აქვს დასახული გეგმები. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომებთან დაკავშირებით საურველია არსებობდეს ერთიანი სტანდარტი, რადგან წარმოდგენილი ნაშრომები სტილისა და სტრუქტურის კუთხით სხვადასხვანაირად იყო შესრულებული. ასევე, კვლევითი ნაშრომების ლიტერატურაში ძირითადად მიმოხილულია სახელმძღვანელოები და არა სამეცნიერო წყაროები, სტატიები და მონოგრაფიები. ნაშრომში მნიშვნელოვანია წყაროების მიმოხილვა. ასევე, სამაგისტრო პროგრამაში არსებულ ,,კორპორაციული ფინანსების'' კურსთან დაკავშირებით, რომელზეც ექსპერტები ურჩევენ დაწესებულებას, რომ მას ეწოდოს ,,ფინანსური მენეჯმენტი'', გოჩა თუთბერიძე მიიჩნევს ,რომ სასწავლო კურსის შინაარსი, თემატიკა და გამოყენებული ლიტერატურა არ შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს და შესაბამისად, სასწავლო კურსი უნდა იქნეს გადამუშავებული და სწავლის საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანილი, ხოლო უბრალოდ სახელწოდების შეცვლას პრაქტიკული შედეგი არ ექნება. დაწესებულების წარმომადგენელი, ქეთევან გოლეთიანი, დაეთანხმა საბჭოს წევრის მოსაზრებას და რეკომენდაციას, რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის თაობაზე განაცხადა, რომ ამ დროისათვის უნივერსიტეტს უკვე შემუშვებული ჰქონდა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი და მომავალში სამაგისტრო ნაშრომები ამ წესის დაცვით შესრულდებოდა. ხოლო, „კორპორაციული ფინანსების“ კურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება იფიქრებს ამ მოსაზრებაზე. საბჭოს წევრ, თამარ ტუფინაშვილს კითხვა ჰქონდა როგორც ექსპერტებთან, ისე დაწესებულებასთან. მან აღნიშნა, რომ კლასიფიკატორის განმარტების თანახმად, დეტალური სფეროს მეორე სვეტში, სწავლის შედეგების შესაბამისად, კლასიფიცირებულია მხოლოდ მაგისტრატურის საფეხურის სწავლის სფეროები, რომელსაც მიეკუთვნება როგორც ,,ლოგისტიკა'', ისე ,,სატრანსპორტო ლოგისტიკა''. შესაბამისად, მას აინტერესებდა რამდენად იყო საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება, შინაარსი და სწავლის შედეგები შესაბამისი კვალიფიკაციის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ასევე, აინტერესებდა თუ რამდენად შეესაბამებოდა წარმოდგენილი საბაკლავრო პროგრამა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. ექსპერტმა თამარ კბილაძემ, აღნიშნა რომ საბაკალავრო პროგრამის საგნები გადიან კვლიფიკაციის შედეგებზე და ხაზი გაუსვა მენეჯერული აღრიცხვისა და სტრატეგიული მენეჯმენტის საკითხს. მან აღნიშნა, რომ პროგრამა შეესაბამება საკვალიფიკაციო ჩარჩოს. ექსპერტმა, სანდრო ტაბატაძემ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ლოგისტიკა არის საკვალიფიკაციოო ჩარჩოს მეორე სვეტში, დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციით პროგრამა აგებული იყო მენეჯმენტის დარგობრივი მახასითებლების შესაბამისად, რაც დარგობრივმა ექსპერტებმა დაადასტურეს, თუმცა სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით გაცემულ იქნა რეკომენდაციები, მათ შორის სამაგისტრო პროგრამის სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით, რათა პროგრამა კანონის შესაბამისად, შინაარსობრივად ზუსტად შეესაბამებოდეს დასახელებას. პროგრამასა და დარგობრივი მახასიათებლებით გათვალისწინებულ მისანიჭებელ კვალიფიკაციას შორის

სრული შესაბამისობის დასამყარებლად გაიცა რეკომენდაცია, რომ დაემატოს შესაბამისი კურსები - „რისკის მართვა“, „მენეჯერული აღრიცხვა“, დაზღვევა“. ქეთევან გოლეთიანმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამაში ,,რისკების მართვა მიწოდებათა ჯაჭვში''-ს კურსი მითითებული იყო არჩევით საგნად, ხოლო მოამვალში შემუშავებული იქნება კურსი - ,,რისკები და დაზღვევა ლოგისტიკაში'', რაც პროგრამას გააძლიერებს. რაც შეეხება საბაკალავრო პროგრამას, დაწესებულება მისი შექმნისას დაეყრდნო დარგობრივ მახასიათებელს, საერთაშორისო გამოცდილებასა და სხვადასხვა უნივერსიტეტის გამოცდილებას. პროგრამა გადის მენეჯმენტის კვალიფიკაციაზე, თუმცა ორიენტირებულია ლოგისტიკაზე. საბჭოს წევრ თამარ ტუფინაშვილს კიდევ ერთი კითხვა ჰქონდა საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობასთან დაკავშირებით. პროგრამაზე მიღების წინაპირობებში განსაზღვრულია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური ან რუსული ენის ჩაბარება, ხოლო პროგრამაზე პირველივე სემესტრში ისწავლება „ინგლისური ენა 1“, რომლის სილაბუსი მოიაზრებს B1+ დონის კომპეტენციის გამომუშავებას, ხოლო მეორე სემესტრში „ინგლისური ენა 2“-ს სტუდენტი გაყავს B2.1-ის კომპეტენციაზე. შესაბისად, თამარ ტუფინაშვილს აინტერესებდა თუ როგორ მოახერხებს სტუდენტი პროგრამაზე სწავლას თუ უცხო ენად არ აქვს ჩაბარებული ინგლისური ენა. ქეთევან გოლეთიანმა განაცხადა, რომ დაწესებულება არ ზღუდავს სხვა უცხო ენებით მიღებას და ასევე, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ენების ცენტრი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სასწავლო სემესტრის დასაწყისში უსასყიდლოდ აწვდის სტუდენტებს შესაბამის სერვისს პროგრამით გათვალისწინებულ ინგლისური ენის კომპეტენციის მისაღწევად. აღინიშნა, რომ ბოლო წლის კვლევები ადასტურებდა პროგრამაზე მიღებისას ინგლისური ენით ჩაბარების მაჩვენებლის აბსოლუტურ დომინირებას რუსულ ენასთან შედარებით. საბჭოს წევრ ვასილ კიკუტაძეს კითხვები ჰქონდა დაწესებულებათან და ექსპერტებთან. კერძოდ მან აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამაში პროექტების მართვის საფუძლების სასწავლო კურსის წინაპირობად განსაზღვრული იყო ,,ბიზნესის საფუძვლები'' შესაბამისად მას აინტერესებდა, აღნიშნულის ლოგიკა და მიზეზი. ასევე, აინტერესებდა პრაქტიკის კომპონენტის წინაპირობა, როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო ნაშრომებთან მიმართებით, ვინაიდან ორივე შემთხვევაში წინაპირობად განსაზღვრული იყო მხოლოდ ორი სასწავლო კურსი. აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების განვითარების რუკის მიხედვით, პრაქტიკის კომპონენტი ორივე პროგრამაში იყო სწავლის შედეგების განმტკიცება, ლოგიკურად ის ფარავდა ყველა იმ სავალდებულო სასწავლო კურსს, რომელიც ჩართულია სწავლის შედეგების ფორმირებაში. შესაბამისად, მას აინტერესებდა განსაზღვრული საგნების არჩევის მიზნობრიობა. ვასილ კიკუტაძის კიდევ ერთი კითხვა ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომებს. მან აღნშნა, რომ სასწავლო გეგმაში სამაგისტრო ნაშრომს არ აქვს განსაზღვრული წინაპირობა, თუმცა წარმოდგენილ სილაბუსში წინაპირობად მითითებული იყო საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში ერთი ნაშრომის გამოქვეყნება. შესაბამისად, მას აინტერესებდა აღნიშნული დათქმის მიზეზი. დაწესებულების წარმომდგენელმა, ქეთევან გოლეთიანმა, სამაგისტრო ნაშრომების შერულების წინაპირობასთან დაკავშრეიბით აღნიშნა, რომ კვლევითი უნარების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მაგისტრანტების მზაობა და შეჩვევის პროცესი კვლევისათვის, რასაც სწორედ ეს წინაპირობა უზრუნველყოფდა, რაც წარმოადგენს ფაკულტეტის საბჭოს ინიციატივას და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ. რაც შეეხება „პროექტების მართვის“ კურსის წინაპირობასთან დაკავშირებულ საკითხს, იგი გადაწყვიტა სილაბუსის ავტორმა და პროგრამის განმახორციელებელმა. შესაბიმისად, დაწესებულება კიდევ ერთხელ გადახედავდა ამ საკითხს და გაითვალისწინებდა შენიშვნებს, ისევე როგორც „პრაქტიკის“ წინაპირობებთან დაკავშირებულ საკითხს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:43
დასრულების დრო: 16:47

გადაწყვეტილება 1
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება.
საბჭომ 1.1 კომპონენტთან მიმართებით „ლოგისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას დაუმატა რეკომენდაცია, რამაც იმოქმედა კომპონენტის შეფასებაზე და კომპონენტი ნაცვლად "შესაბამისია მოთხოვნებთან", შეფასდა როგორც "ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან".
1.4 კომპონენტთან მიმართებით საბჭომ დაამატა ახალი კლასტერული რეკომენდაცია. ასევე, „ლოგისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ამავე კომპონენტში დაუმატა 3 ახალი რეკომენდაცია, რამაც იმოქმედა კომპონენტის შეფასებაზე და კომპონენტი ნაცვლად "მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან, შეფასდა, როგორც "ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან". ყოველივე აღნიშნულმა იმოქმედა პირველი სტანდარტის შეფასებაზე და ის ნაცვლად "შესაბამისია მოთხოვნებთან", შეფასდა როგორც "ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან".

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის "ლოგისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

აკრედიტაციის საბჭოს კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის "ლოგისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია, კლასტერის პროგრამებში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს კარგად ესმოდეს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, ხოლო ბნსუ-მ მათ მხარდაჭერა უნდა გაუწიოს ამ შედეგების გაზომვასა და ანალიზში.
2. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირებულობა ანტიპლაგიატის სისტემაში აკადემიური კეთილსინდისიერების რეგულაციების პირობებისა და მოთხოვნების შესახებ.

3. რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტები რეგულარულად იღებდნენ უკუკავშირს სწავლის შედეგებისა და გაუმჯობესების სფეროების შესახებ.
4. რეკომენდებულია, უნივერსიტეტი რეგულარულად ამოწმებდეს, რამდენად ნათლად ესმით სტუდენტებს აკადემიური და კვლევითი ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციისა და აკადემიური წერის სტილის მოთხოვნები.
5. რეკომენდირებულია, BNSU მუდმივად აკონტროლოს შეფასებების სანდოობა და ვალიდურობა, განსაკუთრებით დისტანციური სწავლების კურსებზე.
6. რეკომენდებულია, ბნსუ-ს ჰქონდეს მკაფიო და კონკრეტული პროცედურები, ასევე მხარდამჭერი მტკიცებულებები თვითშეფასების გუნდის შექმნისთვის, მათ შორის მათი შემადგენლობის, საქმიანობისა და უფლებამოსილებების ჩათვლით.
7. რეკომენდებულია, PDCA ციკლი ეფექტურად ფუნქციონირებდეს პრაქტიკაში, რაც მოითხოვს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყველა წევრის აქტიურ მონაწილეობასა და ჩართულობას.
8. რეკომენდებულია, ბნსუ-მ უზრუნველყოს დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგისთვის ნამდვილად ეფექტური შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების პრაქტიკული განხორციელება.
9. რეკომენდებულია, პროგრამის დასახელება, შინაარსი, სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია მოვიდეს ერთმანეთთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში.
10. რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო კურსების (ლოგისტიკური სისტემის მოდელირება და ოპტიმიზაცია, პრაქტიკა) წინაპირობების დაზუსტება პროგრამის სპეფიფიკის გათვალისწინებით.
11. რეკომენდებულია, ოპერაციათა მენეჯმენტი გადავიდეს სავალდებულო სასწავლო კურსებში.
12. რეკომენდებულია, სტრატეგიული მენეჯმენტი დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსებს.
13. რეკომენდებულია, პროგრამაში გაძლიერდეს მათემატიკის (მაგ. წრფივი ალგებრა) სწავლება.
14. რეკომენდებულია, იმ სასწავლო კურსებში რომლებშიც მითითებულია ინგლისურენოვანი სავალდებულო ლიტერატურა განისაზღვროს შესაბამისი დაშვების წინაპირობა.

რჩევები:
1. სასურველია უზრუნველყოთ, რომ პერსონალის ყველა წევრი იცნობდეს პროგრამის მიზნებს.
2. მიზანშეწონილია, გაიზარდოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მონაწილეობა სწავლის შედეგების შეფასების პროცესში.
3. სასურველია, ზუსტად განსაზღვროთ ინგლისური ენის სწავლის შედეგი და მოიცვათ ცალკეული სტუდენტების სუსტი მხარეები.
4. სასურველია, დაამტკიცოთ შესაძლებელია თუ არა განხორციელდეს შემდგომი ენების შეთავაზების მოთხოვნა.
5. სასურველია, რომ სწავლის შედეგების მიზნობრივი ინდიკატორები გადაიხედოს, რათა უფრო აქტუალური და პრაქტიკულად გაზომვადი გახდეს.
6. სასურველია, უზრუნველყოთ ბნსუ–ის აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს სამეცნიერო პროფილები სხვადასხვა პლატფორმებზე, როგორიცაა Google Scholar, ResearchGate, ORCID, Scopus და Clarivate.
7. სასურველია, ბნსუ-მ გააძლიეროს თავისი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადამიანური რესურსებით PDCA ციკლის ეფექტური განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.
8. სასურველია, რომ ბნსუ-მ გააუმჯობესოს შიდა ხარისხის შეფასების რელევანტურობა და სიზუსტე საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებისა და მისი დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისობის კრიტერიუმების დამატებით.

9. სასურველია, ბნსუ–ს ჰქონდეს დოკუმენტი, რომელიც განმარტავს, თუ როგორ განიხილა მან წინა აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციები და რჩევები.
10. სასურველია, ბნსუ-მ რეგულარულად დანერგოს სავალდებულო ფორმატული კოლეგიალური შეფასება და ბენჩმარკინგი, რომელიც აისახება შიდა ხარისხის შეფასების დოკუმენტაციაში.
11. სასურველია, ბნსუ-მ უზრუნველყოს რამდენიმე პირის პასუხისმგებლობა პროგრამების სისტემატურ მონაცემთა ანალიზზე, მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებაზე სამუშაო დატვირთვის განაწილების მიზნით.
12. სასურველია, პროგრამაში უცხო ენების (თურქული, ჩინური ან გერმანული) ჩართვა, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ მათი არჩევის შესაძლებლობა.
13. სასურველია, კურსის სახეწოდება "სტატისტიკის ზოგადი თეორია" შეიცვალოს სახელით "სტატისტიკა"(BA).

გადაწყვეტილება 2
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება.
1.4 კომპონენტთან მიმართებით საბჭომ დაამატა ახალი კლასტერული რეკომენდაცია და „სატრანსპორტო ლოგისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დააკორექტირა გაცემული რეკომენდაცია, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგი სახით : „რეკომენდებულია, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სათაური „სატრანსპორტო ლოგისტიკა“ შეიცვალოს სახელწოდებით „ლოგისტიკა“, რამაც არ იმოქმედა კომპონენტის შეფასებაზე. ასევე, საბჭომ 2.2 კომპონენტთან მიმართებით პროგრამას დაუმატა რეკომენდაცია, რამაც არ იმოქმედა კომპონენტის შეფასებაზე. ასევე, პროგრამას 1.5 კომპონენტში დაუმატა რჩევა.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის "სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2031 წლის 27 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

აკრედიტაციის საბჭოს კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის "სატრანსპორტო ლოგისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2031 წლის 27 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია, კლასტერის პროგრამებში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს კარგად ესმოდეს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, ხოლო ბნსუ-მ მათ მხარდაჭერა უნდა გაუწიოს ამ შედეგების გაზომვასა და ანალიზში.
2. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირებულობა ანტიპლაგიატის სისტემაში აკადემიური კეთილსინდისიერების რეგულაციების პირობებისა და მოთხოვნების შესახებ.
3. რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტები რეგულარულად იღებდნენ უკუკავშირს სწავლის შედეგებისა და გაუმჯობესების სფეროების შესახებ.
4. რეკომენდებულია, უნივერსიტეტი რეგულარულად ამოწმებდეს, რამდენად ნათლად ესმით სტუდენტებს აკადემიური და კვლევითი ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციისა და აკადემიური წერის სტილის მოთხოვნები.
5. რეკომენდირებულია, BNSU მუდმივად აკონტროლოს შეფასებების სანდოობა და ვალიდურობა, განსაკუთრებით დისტანციური სწავლების კურსებზე.
6. რეკომენდებულია, ბნსუ-ს ჰქონდეს მკაფიო და კონკრეტული პროცედურები, ასევე მხარდამჭერი მტკიცებულებები თვითშეფასების გუნდის შექმნისთვის, მათ შორის მათი შემადგენლობის, საქმიანობისა და უფლებამოსილებების ჩათვლით.
7. რეკომენდებულია, PDCA ციკლი ეფექტურად ფუნქციონირებდეს პრაქტიკაში, რაც მოითხოვს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყველა წევრის აქტიურ მონაწილეობასა და ჩართულობას.
8. რეკომენდებულია, ბნსუ-მ უზრუნველყოს დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგისთვის ნამდვილად ეფექტური შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების პრაქტიკული განხორციელება.
9. რეკომენდებულია, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სათაური „სატრანსპორტო ლოგისტიკა“ შეიცვალოს სახელწოდებით „ლოგისტიკა“.
10. რეკომენდირებულია, სატრანსპორტო ლოგისტიკის პროგრამა მოიცავდეს კურსს რისკების მართვისა და დაზღვევის შესახებ.
11 რეკომენდებულია, სატრანსპორტო ლოგისტიკის პროგრამაში შედიოდეს კურსი მენეჯერული აღრიცხვის შესახებ.
12. რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ინგლისური ენის დონე B2 ჩარიცხვის პროცესში, რადგან პროგრამა ითვალისწინებს დასაქმების შესაძლებლობებს, რომლებიც ფართოდ არის დაკავშირებული საერთაშორისო ბიზნესთან და ინგლისურად კომუნიკაციის უნარები მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულებისთვის.
13. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ვებგვერდზე უზრუნველყოს შესაბამისი ინფორმაციის განთავსება სამაგისტრო პროგრამის გამოცდების შესახებ საგამოცდო თემების მითითებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი მიღების წინაპირობები.
14. რეკომენდებულია, გაიზარდოს სტუდენტებს შორის სამეცნიერო/კვლევითი უნარების დონე კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტუდენტები იცნობდნენ ამ მეთოდებს.
15. რეკომენდებულია, ბნსუ-მ გადახედოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს, რათა უზრუნველყოს წერითი და ზეპირი კომპონენტების უფრო ლოგიკური შეფასება, ვინაიდან ამჟამინდელი 98/2 დაყოფა აუხსნელია.
16. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის რეგულარული კონსულტაციები მაგისტრანტებთან. კვლევის დიზაინის, კვლევის მეთოდოლოგიის, ადგილობრივ და საერთაშორისო ქსელებში ინტეგრაციის პროცესის შესახებ.

17. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომებში გაძლიერდეს კვლევითი კომპონენტის შესრულების დონე.

რჩევები:
1. სასურველია უზრუნველყოთ, რომ პერსონალის ყველა წევრი იცნობდეს პროგრამის მიზნებს.
2. მიზანშეწონილი, გაიზარდოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მონაწილეობა სწავლის შედეგების შეფასების პროცესში.
3. სასურველია, ზუსტად განსაზღვროთ ინგლისური ენის სწავლის შედეგი და მოიცვათ ცალკეული სტუდენტების სუსტი მხარეები.
4. სასურველია, დაამტკიცოთ შესაძლებელია თუ არა განხორციელდეს შემდგომი ენების შეთავაზების მოთხოვნა.
5. სასურველია, რომ სწავლის შედეგების მიზნობრივი ინდიკატორები გადაიხედოს, რათა უფრო აქტუალური და პრაქტიკულად გაზომვადი გახდეს.
6. სასურველია, უზრუნველყოთ ბნსუ–ის აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს სამეცნიერო პროფილები სხვადასხვა პლატფორმებზე, როგორიცაა Google Scholar, ResearchGate, ORCID, Scopus და Clarivate.
7. სასურველია, ბნსუ-მ გააძლიეროს თავისი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადამიანური რესურსებით PDCA ციკლის ეფექტური განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.
8. სასურველია, რომ ბნსუ-მ გააუმჯობესოს შიდა ხარისხის შეფასების რელევანტურობა და სიზუსტე საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებისა და მისი დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისობის კრიტერიუმების დამატებით.
9. სასურველია, ბნსუ–ს ჰქონდეს დოკუმენტი, რომელიც განმარტავს, თუ როგორ განიხილა მან წინა აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციები და რჩევები.
10. სასურველია, ბნსუ-მ რეგულარულად დანერგოს სავალდებულო ფორმატული კოლეგიალური შეფასება და ბენჩმარკინგი, რომელიც აისახება შიდა ხარისხის შეფასების დოკუმენტაციაში.
11. სასურველია, ბნსუ-მ უზრუნველყოს რამდენიმე პირის პასუხისმგებლობა პროგრამების სისტემატურ მონაცემთა ანალიზზე, მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებაზე სამუშაო დატვირთვის განაწილების მიზნით.
12. სასურველია, კურსის სახელწოდება „კორპორატიული ფინანსები“ შეცვალოს „ფინანსური მენეჯმენტით“ (MA).
13. სასურველია, ბნსუ–მა მკაფიოდ განსაზღვროს, თუ რა სახის პროფესიული გამოცდილებაა საკმარისი იმისათვის, რომ იყოთ მაგისტრის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი.
14. სასურველია, დამტკიცდეს და უზრუნველყოფილ იქნას, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი პერსონალი არის კვალიფიციური და მოტივირებული, რათა უხელმძღვანელოს სტუდენტებს ისეთი ნაშრომის შექმნაში, რომელიც აკმაყოფილებს სამეცნიერო მიდგომას.
15. სასურველია, დაკორექტირდეს სასწავლო კურსის დასახელება "ინგლისური ენა ლოგისტებისთვის".

მეორე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა
1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - გლობალური პოლიტიკა და უსაფრთხოების კვლევები;
2. საფეხური - მაგისტრატურა;
3. სწავლების ენა - ინგლისური;

4. ECTS კრედიტების რაოდენობა - 120;
5. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი;
6. დეტალური სფეროს კოდი - 0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ქეთევან ნანობაშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ვინაიდან საერთაშორისო ექსპერტი პაულო ვილა მაიორი ვერ ესწრებოდა სხდომას, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, გიორგი ირემაშვილმა, გააჟღერა მისი პოზიცია პროგრამასთან დაკავშირებით. საერთაშორისო ექსპერტი თავის პოზიციაში აცხადებდა, რომ მთლიანობაში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "გლობალური პოლიტიკის და უსაფრთხოების კვლევების" სამაგისტრო პროგრამა კარგად იყო სტრუქტურირებული და მოიცავდა თანამედროვე მნიშვნელობის საკითხებს როგორც მსოფლიო, ისე რეგიონულ დონეზე. პროგრამის მთავარი ძლიერი მხარეა ორიგინალურობა. პროგრამის მიერ საზოგადოებაში შეტანილი წვლილი გამოიხატება უსაფრთხოების კონტექსტში რეგიონისა და მსოფლიოს წინაშე არსებული ძირითადი საფრთხეების შესახებ ცნობიერების ამაღლებაში. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა ხარვეზები, რომლებიც აღწერილია დასკვნაში, პროგრამა იმსახურებს აკრედიტაციას, მას შემდეგ, რაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელობა განახორციელებს ცვლილებებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად. რეკომენდაციები მოიცავს შემდეგ საკითხებს: ბევრ კურსში ლიტერატურული წყაროების გაუმჯობესება და განახლება; ზოგიერთ კურსს შორის შინაარსის გადაფარვის დაბალანსება და ზოგიერთი კურსის შინაარსის შიდა თანმიმდევრობაში მცირე შეუსაბამობების გასწორება; აკადემიური პერსონალის ზოგიერთი წევრის ინგლისური ენის კომპეტენციის გაუმჯობესება (ვინაიდან კურსები ისწავლება ინგლისურ ენაზე); ბიბლიოთეკაში სახელმძღვანელოების და სხვა შესაბამისი ლიტერატურული წყაროების სრულად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მარინა გედევანიშვილი, მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს და აღნიშნა, რომ

ვიზიტი იყო კოლეგიალური, კონსტრუქციული და თანამშრომლობითი, რისთვისაც მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს. პირველი რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ბევრი სასწავლო კურსის სასწავლო მასალების განახლებას, მან განაცხადა, რომ როგორც ექსერტებისთვის იყო ცნობილი, პროგრამა უნივერსიტეტმა შუიმუშავა 2020 წელს და დღემდე ავტორიზებულ რეჯიმში ხორციელდებოდა. იგი იყო საერთაშორისო პროექტის ფარგლებში და ორი წლის განმავლობაში უკრაინულ ორგანიზაცია - „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრს„ ჰქონდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რომ პროგრამა მოემარაგებინა სათანადო ლიტერატურით და საჭირო სასწავლო მასალებით. ეს გრძელდებოდა 2022 წლამდე, ხოლო შემდეგ განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე ცენტრმა შეწყვიტა ფუნქციონირება, ხოლო იმისათვის, რომ სტუდენტების ინტერესები არ დაზარალებულიყო, ეს ვალდებულება აიღო უნივერსიტეტმა. 2023-2024 წლებში კი უნივერსიტეტმა ნაწილობრივად აღმოფხვრა ეს პრობლემები. ასევე, საუბარი იყო პროგრამის დახურვასთან დაკავშირებით, თუმცა ბაზრის კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოში ბევრია აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველი და სწორედ ეს გახლდათ პროგრამის სააკრედიტაციოდ შემოტანის საფუძველი. შემუშვებუილი იქნა გეგმა, რომლის მიხედვით პირველი საქმიანობად განხორციელდა „რიდერების“ შემუშავება და უცხოური ლიტერატურის მოძიება, ასევე აღნიშნა, რომ ზოგადად ამ დარგში მწირია ლიტერატურა. ასევე აღნიშნა, რომ ისეთი სპეციფიური საგნებში, რომელიც ეხებოდა მასობრივი იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის საკითხებს, ძალიან მწირი იყო ლიტერატურა. საერთაშორისო და ევრო-სტრუქტურების შესაბამისი ორგანიზაციების მხრიდან იყო ინიციატივა, რომ ამ მიმართულებით დაეფინანსებინათ და შექმნილიყო შესაბამისი ლიტერატურა. შესაბამისად პროგრამის აკადემიური პერსონალის ჩართულობით მომზადებულია სახელმძღვანელო და გამოიცება ბრიუსელში 2025 წელს. შესაბამისი მტკიცებულებები დანართების სახით ერთვის არგუმენტირებულ პოზიციას. მარინა გედევანიშვილმა მოახდინა დასკვნიდან ექსპერტების ციტირება, რომ „პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება სათანადო პროგრამის მიზნებს და მოიცავს ცოდნას, უნარებს და ავტონომიურობას, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამის შინაარში, პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადია, იმდენად რამდენადაც ობიექტურია და შეესაბამება მიზნებს. მიღწევადი და რეალისტურია შედეგების მოცულობით და საგანმანთლებლო პროგრამის სპეციფიური ხასიათის გათვალისწინებით. სწავლის შედეგები აკმაყოფილებს განათლების მოთხოვნებს და ადგენს მოცემულ სფეროში სწავლების დონის შესაბამის შედეგებს. ასევე, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა აკამყოფილებს მისანიჭებელი კვალიფიკაციის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწვალის შედეგების მიღწევას. ასევე, აღნიშნავენ რომ ჩამოყალიბებულია საფუძლიანი პროცედურა, რომლის მიზანის კურსების შედეგების პროგრამის სწავლის შედეგების და შესაბამისობის უზრუნველყოფა, რომელიც შეესაბამება თითოეულ სასწავლო კურსს, ხორციელდება მონიტორინგის შიდა მექანიზმები, რომლიც იმის გარანტიას იძლევა, რომ არ ფიქსირდება შეუსაბამობები თითოეული კურსის შინაარსსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის. სავალდებულო და არჩევითი სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწვალის შედეგებს, რამდენადაც მკაფიოდ არის გამიჯნული არჩევითი და სავალდებულო საგნების რელევანტურობა.“ სასწავლო კურსების შინაარსი შეესაბამება თითოული კურსის სწავლის შედეგებს. სავალდებულო ლიტერატურა და სილაბუსებში ჩამოთვლილი სხვა სწავლა-სწავლების რესურსები შეესაბამება კურსების სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მარინა გედევანიშვილი არ დაეთანხმა ექსპერტების მიერ კომპონენტი 1.5-ის „ნაწილობრივ შესაბამისად“ შეფასებას და შესაბამისად, საბჭოს წევრებს სთხოვა ამ შეფასების გადახედვა. აღნიშნა, რომ დაწესებულება არ ეთანხმებოდა ჩანაწერს , სადაც ექსპერტები აღნიშნავენ, რომ თითოეული სასწავლო კურსის შედეგები ექვემდებარება პერიოდულ შეფასებას. ადგილზე ვიზიტის დროს, ხარისიხს უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუმ ექსპერტებისათვის ბუნდოვანი დატოვა ამ შეფასებების განხორციელების პერიოდი. მან

აღნიშნა, რომ ბუნდოვანი საკითხების დაზუსტება შესაძლებელი იყო ვიზიტის დროსაც, თუმცა ხსენებული საკითხი არ წამოჭრილა და ცხადია, სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხორციელდება სასწავლო სემესტრის დასრულებისას. გარდა ამისა, დანართების სახით წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმების დოკუმენტი და ამავდროულად წარმოდენილია ამ მექანიზმების შეფასების შედეგები. მარინა გედევანიშვილმა მოახდინა მოერე განსახილველი რეკომენდაციის ციტირება, რეკომენდებულია, ქვემოთ ჩამოთვლილი კურსების შინაარსის უმნიშვნელო კორექტირება არასწორი თარგმანის გამო ან გადახედვა შიდა შეუსაბამობების თავიდან აცილების ან შინაარსის გადაფარვის კორექტირების მიზეზით და ჩამოთვლილია არჩევითი სასწავლო კურსები. მან აღნიშნა, რომ გაურკვეველია რეკომენდაციის შინაარსი, რადგან სხვადასხვა საკითხებს მოიცავს. არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა პოზიცია, თუმცა ეს რეკომენდაცია არსებული ფორმით დარჩა დასკვნაში. როგორც არჩევითი, ისე სავალდებულო სასწავლო კურსების სახელწოდებები შემუშავებულია ევროკავშირის მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის საერთაშორისო ექსპერტისა და ევროკავშირის პოლიტიკური ელჩის რეკომენდაციების შესაბამისად. პროგრამის განმახორციელებლების ენის ცოდნის კომპეტენციის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესახებ დაწესებულებამ აღნიშნა, რომ როდესაც ხორციელდება ინგლისურენოვანი პროგრამა დაწესებულებაში ცხადდება კონკურსი, რომელშიც ერთ-ერთი მთავარი პირობაა მინიმუმ ინგლისური ენის B2 დონის კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენა. გარდა ამისა, შესაძლებელია ჰქონდეს გამოცდილება უცხო ქვეყანაში სასწავლო კურსის წაკითხვისა ან საქართველოში სხვა უცხოენოვანი პროგრამის წარმართვის გამოცდილება. დაწესებულების პროფესორების ძალინ დიდ რაოდენობას უდასტურდება ,,C'' დონის ფლობა. ასევე, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში იქმნება ინგლისურ ენაში მოსამზადებელი ანაზღაურებული კურსების ჯგუფები და მასში ჩართვა საჭიროებისამებრ შეუძლიათ, როგორც ადმინისტრაციის თანამშრომელს, ისე პროფესორებს. დასკვნის 38-ე გვერდზე ჩანაწერილია, რომ მნიშვნელოვია რომ უსდ-მ მკაფიოდ განუმარტოს ნაშრომის ხელმძღვანელებს ყველა რეგულაცია. აუცილებელია, უნივერსიტეტმა დანერგოს სტუდენტების მიერ მათი ხელმძღვანელების შესახებ წერილობითი უკუკავშირის შეგროვების სისტემა. თვითშეფასების ანგარიშის მე-17 დანართში წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის საქმიანობის კვლევა. აღნიშნული კვლევა არის საუნივერსიტეტო მასშტაბის და სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტებს თან ახლდა. შემდეგი რეკომენდაცია ეხება რეგულარული ინვენტარიზაციის ჩატარების საკითხს. მან აღნიშნა, რომ ექსპერტებმა ყველა სავალდებულო ლიტერატურა ნახეს ბიბლიოთეკაში, რაც ასახული იყო დასკვნაში. ექსპერტების მიერ დასკვნაში აღნიშნული ჩანაწერის გაკეთების საფუძველი გახდა ,,თანამედროვე სტრატეგიის'' სახელმძღვანელოდან სილაბუსი მიხედვით ამოღებული 17 გვერდი, რაც მიზნად ისახავდა სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობის გამარტივებას. ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს სახელმძღვანელოების სრული სახით წარმოდგენის აუცილებლობას. ასევე, კიდევ ერთი ჩანაწერი შესახებ, რომ ბიბლიოთეკა ახალია, თუმცა სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით მცირე ზომისაა, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათთვის გაუგებარია სრულიად უნივერსიტეტის მასშტაბით აფასებენ ბიბლიოთეკის ტევადობის საკითხს თუ პროგრამის ოთხი სტუდენტის მიხედვით. ასევე აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა თავისი სამკითხველო დარბაზებით გათვალისწინებულია 200 მკითხველზე. პროგრამის განსახორციელებელი კორპუსის მეშვიდე სართულზე გათვალისწინებულია კიდევ 70 მკითხველზე გათვალისწინებული სამკითხველო დარბაზი და მესამე კორპუსში გათვალისიწინებულია 80 მკითხველზე გათვლილი სამკითხველო დარბაზი. ასევე, ხაზგასასმელია სავალდებულო ელექტრონული რესურსების დისტანციურად და შეუფეხერებლად ხელმისაწვდომობის საკითხი. მარინა გედევანიშვილმა მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ლიტერატურის შეძენისთვის პროგრამის ბიუჯეტში გამოყოფილი თანხის - 750 ლარის გარდა, დამატებითი სახსრები გამოიყოფა ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. ასევე, საგულისხმოა რომ

პროგრამის ხელმძღვანელმა აკადემიური მივლინებიდან, სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოიტანა ათზე მეტი ახალი სახელმძღვანელო, რომელიც რელევანტურია პროგრამით გათვალისიწნებული კურსებისათვის. მარინა გედევანიშვილმა მაოხდინა რეკომენდაციის ციტირება, რომ რეგულარულ რეჟიმში, პარქტიკაში განხორციელდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება. 5.3 კომპონენტის შეფასებაში კი ექპსერტები თავად აღნიშნავენ, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის შესახებ უკუკავშირის გამოსავლენად ატარებს სტუდენტების რეგულარულ შეფასებას, აკადემიურ პესონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვებს. განაცხადა, რომ მეთოთხმეტე დანართში წარმდოგენილია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, სადაც იყო სრულად ასახული შესაბამისი ინფორმაცია. მათ შორის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის ფორმები (ჯამში 12) და შედეგები. მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში მითითებულია, რომ რეგულარული გამოკითხვები და უკუკავშირის მექნიზმები უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას დარგობრივ სტანდარტებთან, თუმცა გამოკითხვაში მონაწილეობა გამონაკლის შემთხვევის გარდა არ დაადასტურეს არც სტუდენტებმა და არც დამსაქმებელებმა. აღნიშნა, რომ პროგრამაზე ამ მოცემულობით სწავლოს ოთხი სტუდენტი, ასევე აღნიშნა, რომ გამოკითხვაში მონაწილობა იყო ნებაყოფლობითი, შესაბამისად, გამონაკლის შემთხვევებში რა რაოდენობა მოიაზრებოდა გაუგებარი იყო. რაც შეეხება დამსაქმებლების საკითხს, განაცხადა, რომ მათ სრულიად სხვა ინფორმაცია აქვთ პანელზე ჩატარებული გამოკითხის შესახებ. ასევე, დამსაქმებლებთან მიმართებით დასკვნაში არის ურთიერთგამომრიცხავი ინფირმაცია, აღნიშნულია, რომ ადგილზე ვიზიტის დროს დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის სწვალის შედეგები აკმაყოფილებს სფეროს დასაქმების მოთხოვნებს. მათ აღნიშნეს, რომ კმაყოფილები არიან შეთავაზებული სტაჟირებებით და განიხილავენ სტუდენტების დააქმების შესაძლებლობას. დამსაქმებლებმა ისაუბრეს პროგრამის ძლიერ მხარეებზე. ასევე, აღნიშნულია, რომ ,ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს ცხადად ვერ დაადასტურა საგანამთლებლო პროგრესის განვითარების პროცესში დამსაქმებულების ჩართულობა, თუმცა ცალსახად ვერ ასკვნის, რომ დამსაქმებელები არ იყვნენ ჩართულნი ამ პროცესში, ვინაიდან შეხვედრის ბოლოს გაჩნდა ეჭვი აღნიშნულ პროცესში მათი ჩართულობის თაობაზე.“ მიაჩნია, რომ მსგავსი ჩანაწერი არ შეიძლება ექსპერტების მიერ იყოს დასკვნაში მოცემული და აღნიშნული საკითხის დაზუსტება ვიზიტზე ინტერვიურების მიმდინარეობისას იყო შესაძლებელი. ასევე, მარინა გედევანიშვილმა ყურადღება გაამახვილა ექსპერტების მიერ დასკვნაში გაკათებულ ჩანაწერზე, რომ სასურველი იქნება ყველა პროგრამაზე რეგულარულ რეჟიმში პრაქტიკაში განხორციელდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება. მას მიაჩნია, რომ ყველა პროგრამის შეფასების არც უფლება და არც კომპეტენცია არ ჰქონდათ ექსპერტებს და თვითშეფასების ანგარიშის 42-ე და 43-ე გვერდზე მითითებული იყო ინფორმაცია, რომ დაწესებულება რეგულარულად ატარებდა პროგრამების განმახორციელებლი აკადამიური/მოწვეული პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასებას, პროცედურები კი დეტალურად იყო აღწერილი წარმოდგენილ დოკუმენტებში. ასევე, აღნიშნა, რომ არგუმენტირებულ პოზიციას თან ერთვოდა პროგრამის ფარგლებში ჩართული პროფესორების ლექციაზე დასწრების ამსახველი დოკუმენტი. ლექციებს ესწრებოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი და პროგრამის ხელმძღვანელი. მიუხედავად იმისა, რომ ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია, მაინც მოხდა მისი მტკიცებულებად დართვა, თუმცა ეს არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტებმა არ გაითვალისწინეს. ასევე, საგულისხმოა რომ ვიზიტის დროს შესაბამისი კითხვის არსებობის შემთხვევაში, ექსპერტებს აღნიშნულ დოკუმენტს და ინფორმაციას გააცნობდა დაწესებულება. მარინა გედევანიშვილმა თხოვა საბჭოს წევრებს გადაეხედათ 1.5 და 5.3 კომპონენტების შეფასებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, დავით გეგეჭკორი მიესალმა დამსწრე პირებს და აღნიშნა, რომ პროგრამის აღწერაში მითითებული იყო, რომ უზრუნველყოფს საფუძვლიან ცოდნას კონფლიქტების მოგვარების, დიპლომატიური ურთიერთობისა და საერთაშორის ურთიერთობების შესახებ. მას აინტერესებდა, რომელ სილაბუსებზე იყო საუბარი. პროგრამის ხელმძღვანელმა, ვახტანგ მაისაიამ აღნიშნა, რომ უსაფრთხოების კვლევების პროგრამაში გათვალისწინებულია საერთაშორისო მიმართულებები და იყო კურსი, ,,გლობალური პოლიტიკის'', სადაც განიხილება გლობალური პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხები. ასევე, ,,რეგიონული უსაფროების კვლეევევის'' სავალდებულო სასწავლო კურსი. ბერლინიდან და ლონდონიდან მიღებულ იქნა ახლი ლიტერატურა, რომელიც ეხება შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების დინამიკას. ასევე, მისი თანავტორობით წიგნი გამოიცა ლონდონში, რომელიც ეხება მცირე შეიარაღებისა და ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებს რეგიონალურ უსაფრთხოების ფორმატში. ასევე, იყო სასწავლო კურსი „ახალი საფრთხეების და გამოწვევების თეორია და პრაქტიკა", სადაც ასახულია ნახსენები თემატიკა. ასევე, „ეკონომიკური უსაფრთხოების ანალიზის" სასწავლო კურსი, „რელიგია და საერთაშორისო უსაფრთხოების" კურსი და „გეოპოლიტიკა და გეოეკონომიკის" კურსი. ორიენტაცია მიმართულია უსაფრთხოების კვლევაზე. აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამა წარმოადგენდა საქართველოს მიერ ევროკაშირთან შემდგომი ინტეგრაციის კუთხით ერთ-ერთი ცხრა რეკომენდაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს და ამ პროგრამის წარმატება დაფიქსირებული იქნა ნატოს, ვილნიუსის 2023 წლის სამიტზეც. ეს ასახული იყო დეკლარაციის მეოთხმოცე პარაგრაფში, საქარათველოში მასობრივი განადგურებს იარაღის გაუვრცელებლობასთან დაკავშირებით. დავით გეგეჭკორი ასევე დაინტერესდა ყირგიზეთის უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმით. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ეს თანამშრომლობა ისახავს ქართული გამოცდილების ყირგიზეთისთვის გაზიარებას და კონსულტაციის ეს ინიციატივა ეკუთვნის ევროკავშირს. მარინა გედევანიშვილმა დაამატა, რომ ქართულენოვანი სამაგისტო პროგრამა არსებობდა „საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო უსაფრთხოება"-ის სახელწოდებით, თუმცა მაშინ საკვალიფიკაციო ჩარჩოში არ იყო უსაფრთოების ნაწილში კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობა, ხოლო ეხლა უკვე უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის კვალიფიკაცია ენიჭება კურსდამთავრებულებს და ამ მიმართულებით პროგრამა არაერთი კურსით გაძლიერდა. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გოჩა თუთბერიძე, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ხაზი გაუსვა პროგრამის აქტუალურობასა და მნიშვნელობას. მან აღნიშნა, რომ ნაშრომებში გამოყენებულია თვისობრივი კვლევის მეთოდები და კვლევით კითხვებთან ერთად ფორმულირებულია ჰიპოთეზები, თუმცა ჰიპოთეზების ფორმულირება საჭიროებს გაუმჯობესებას. ასევე, ხაზი გაუსვა, რომ თვისობრივი კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებისას არ არის აუცილებელი ჰიპოთეზების გამოყენება და საკმარისია მხოლოდ კვლევითი კითხვების დასმაც. ასევე აღნიშნა, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს საკვლევი მიზნების განსაზღვრასა და გამოყენებული წყაროების მიმოხილვას.

ვახტანგ მაისაიამ აღნიშნა, რომ უსაფრთხოების კვლევებში ჰიპოთეზები გამოიყენება კვლევის მეტი დეტალიზაციისთვის. საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა ყურადღება გაამახვილა სამაგისტო ნაშრომის დასკვნის ნაწილზე. მას აინტერესებდა, ნაშრომების დასკვნის ნარატივის ფართო მიმოხილვა დარგის სპეციფიკით არის გათვალისწინებული თუ არა. პროგრამის ხელმძღვანელმა, ვახტანგ მაისაიამ აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშორმების შექმნის სპეციფიკა შემუშავებულია საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად, თუმცა ასევე შემუშავებულია ,,გაიდლაინი'', რომელიც ეხმიანება უსაფრთხოების კვლევების დარგის მოთხოვნას. მთავარი აქცენტი კეთდება საკვლევ კითხვებზე პასუხის გაცემაზე. ჰიპოთეზის არსებობის შემთხვევაში კი მისი უარყოფა ან დადასტურება ხდება და ეს მიდგომა სახასიათოა დასავლური უნივერსიტეტებისთვის. ელიზბარ ელიზბარაშვილდააზუსტა კითხვა, ხომ არ აჯობებდა, რომ დასკვნაში მითითებული ის ნარატიული ტექსტი, თუნდაც თეზისის უარყოფა ან დამტკიცება,

შედეგების განსჯაში განხილულიყო, ხოლო დასკვნაში ყოფილიყო მოკლე პუნქტობრივი, ლაკონური მითითებები. დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ საბჭოს წევრის მითითებას სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი ნაწილის ლაკონურობისა და ბულეტებად ჩაშლასთან დაკავშირებით. საბჭოს თავმჯდომარეს, თამარ ლომინაძეს კითხვა ჰქონდა დაწესებულებასთან მითითებულია, 14 აკადემიური პერსონალი და გარდა ამისა, 12 ერთეული სამეცნიერო პერსონალი. მას აინტერესებდა, ვინ წარმოადგენდა სამეცნიერი პერსონალს. მარინა გედევანიშვილმა და ვახტანგ მაისაიამ დააზუსტეს, რომ 2022 წელს ევროკავშირის დაფინანსებით საუნივერსიტეტო ეგიდით შეიქმნა კვლევითი ცენტრი, რომელიც აქტიურად მუშაობს და მათ შორის, უკვე გამოქვეყნებულია ნაშრომი Scopus-ში. ხსენებული სამეცნიერო პერსონალი არის პროგრამის აკადემიური პერსონალი და პარალელურად ჩართულები არიან სამეცნიერო საქმიანობაში უნივერსიტეტის ეგიდით. საბჭოს წევრს, ასევე კითხვა ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფთან. მან აღნიშნა, რომ ერთი რეკომენდაცია და თითქმის ყველა რჩევა ეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში გარკვეულ ხარვეზებს, რაც შემდგომ არ იყო ასახული რეკომენდაციად შესაბამის სტანდარტში და შესაბამისად, აინტერესებდა თუ როგორ იმოქმედა ამან კომპონენტის შეფასებაზე. ექსპერტმა ნინო ტალიკაძემ აღნიშნა, რომ დამსაქმებელთა ნაწილი მიესალმებოდა ამგვარი პროგრამის არსებობას, თუმცა ნაწილმა შემდგომ აღნიშნა, რომ მონაწილეობა არ მიუღია პროგრამის შემუშავებაში და შესაბამისად, ეს ყოველივე იყო ასახული რჩევის სახით. მოწვეული და აკადემიური პერსონალის შეფასების ნაწილში, იგულიხმებოდა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების შეფასების კითხვარების ჩამატებაზე ყურადღების გამახვილება. რეკომენდაცია მხოლოდ ამ ნაწილში იყო მოცემული, ხოლო რჩევები არ იყო გადაუჭრელი საკითხების ირგვლივ. მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ თუ კი ექსპერტები თავად წერენ, რომ დამსაქმებლება ისაუბრეს პროგრამის ძლიერ მხარეებზე, მაშინ წინააღმდეგობრივია პოზიცია, რომ ისინი პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ჩართულნი არ ყოფილან. ასევე, დააზუსტა, რომ ექსპერტების ნახსენები მოწვეული ლექტორები პროგრამაზე საერთოდ არ არიან. ექსპერტმა, ჟანა სირბილაძემ აღნიშნა, რომ მოწვეული ლექტორის ხსენება იყო ტექნიკური ხარვეზი. ასევე აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის ორ ხელმძღვანელთან ჰქონდათ გასაუბრება და დაადასტურეს, რომ მათ არ იციან ხდება თუ არა სტუდენტების მიერ მათი შეფასება. გოჩა თუთბერიძემ დაამატა, რომ ნახა „კვლევის მეთოდების“ სილაბუსი და მიაჩნია რომ კარგი სილაბუსია, თუმცა სასურველი იქნებოდა რამოდენიმე თემატიკის დამატება. სილაბუსში ყველა ძირითადი კვლევის მეთოდი ასახულია, თუმცა მცირედი მოდიფიცირება იქნება სასურველი. ექსპერტმა ჟანა სირბილაძემ აღნიშნა, რომ რაც შეეხება პროგრამის შემუშავებაში დამსაქმებლების ჩართულობას, ერთ-ერთმა დამსაქმებელმა, რომელიც აქტიურად ასაქმებს სტაჟირებაზე სტუდენტებს, კარგად იცოდა პროგრამის შინაარსი, ვინაიდან მას პროფესურასთან ჰქონდა ახლო კონტაქტები, ხოლო დანარჩენმა ოთხმა თუ ხუთმა დამსაქმებელმა აღნიშნა, რომ არ იყვნენ ჩართულები პროგრამის შემუშავებაში. მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში იყო მითითება, რომ დამსაქმებლებმა ისაუბრეს ძლიერ მხარეებზე. ექსპერტმა დააზუსტა, რომ ძლიერ მხარეებში იგულისხმება ის, რომ სტაჟიორ სტუდენტებს ჰქონიათ კარგი ანალიტიკური უნარი და სხვა. მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ პროფესურასთან კონტაქტები არ ნიშნავს პროგრამის ცოდნას თუ კი არა პირდაპირი შეხება არ ჰქონია მასთან. საბჭოს წევრმა, დავით გეგჭკორმა ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა Erasmus+-ის გაცვლითი პროგრამით სარგებლობის მნიშვნელობას. მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის წესი, სადაც განსაზღვრულია საერთაშორისო მობილობისთვის საჭირო პირობები. დაწესებულებას აქვს Erasmus+-თან ხელშეკრულება, რომელიც ყველა პროგრამის სტუდენტებისათვის არის ხელმისაწვდომი, თუმცა პროგრამის სტუდენტების ისედაც მწირ რაოდენობას არ გამოუვლენია გაცვლით პროგრამებში ჩართვის სურვილი. მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ხელშეწყობით ქართველ სტუდენტებს უფრო მეტად გაჩნდებათ აღნიშნული ხელშეკრულებების გამოყენების სურვილი. ვახტანგ მაისაიამ

დაამატა, რომ პროგრამაში მონაწილე ერთ-ერთი სტუდენტი Erasmus+ პროგრამით ერთი სემესტრით იმყოფებიდა პოლონეთში და სწავლობდა ეროვნული უსაფრთხოების პროგრამაზე და შესაბამისი კრედიტებით დაუბრუნდა უნივერსიტეტს. ასევე, მან გაიარა თეორიული კურსის პარალელურად პრაქტიკა. თამარ ლომინაძეს აინტერესებდა, თუ აპირებდა უნივერსიტეტი ევროპის უნივერსიტეტებთან ორმხრივი ხელშეკრულებების მომზადებას. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ასეთი ხელშეკრულებები არსებებოდა კრაკოვის, ვარშავის უნივერსიტეტებთან და სხვა. ამის თაობაზე გადმოგზავნილი იყო შესაბამისი მასალებიც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:03
დასრულების დრო: 18:17

გადაწყვეტილება
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა შეფასება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით (31/12/2028 წლამდე), 1 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

აკრედიტაციის საბჭოს კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით (31/12/2028 წლამდე), 1 წელიწადში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, განახლდეს შემდეგი სასწავლო კურსების მასალები: ეკონომიკური უსაფრთხოების ანალიზი, საინფორმაციო უსაფრთხოების სტრატეგია, სამხედრო

სტრატეგია და გლობალიზაცია, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები, ეროვნული უსაფრთხოების კვლევები ანალიზი და სტრატეგიული დაგეგმვა, უსაფრთხოების ახალი გამოწვევების თეორია და პრაქტიკა, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები და გლობალური პოლიტიკის პრობლემები, რეგიონული უსაფრთხოების კვლევები (ყველა სავალდებულო კურსი), ომის ხელოვნება და სტრატეგია, გეოპოლიტიკა და გეოეკონომიკა, პოლიტიკური კომუნიკაცია, გეოეკონომიკური ომი და სახელმწიფოებრიობა, მასობრივი განადგურების იარაღის სამართლებრივი ჩარჩო, ევროკავშირის სამხედრო და ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიების მიმოხილვა და საქონლის იდენტიფიკაცია ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიის მიხედვით, ფსიქოლოგიური და დეზინფორმაციული ომი, რელიგია და საერთაშორისო უსაფრთხოება, ტერორიზმი და კონტრტერორიზმი (ყველა არჩევითი კურსი).

2. რეკომენდებულია, ქვემოთ ჩამოთვლილი კურსების შინაარსის უმნიშვნელო კორექტირება არასწორი თარგმანის გამო, ან გადახედვა შიდა შეუსაბამობების თავიდან აცილების, ან შინაარსის გადაფარვის კორექტირების მიზნით: ეკონომიკური უსაფრთხოების ანალიზი, ჰიბრიდული ომი - თეორია და ანალიზი, საინფორმაციო უსაფრთხოების სტრატეგია, უსაფრთხოების ახალი გამოწვევების თეორია და პრაქტიკა და გლობალური პოლიტიკის პრობლემები (ყველა არჩევითი კურსი), ომის ხელოვნება და სტრატეგია, გეოპოლიტიკა და გეოეკონომიკა, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული, ბირთვული გადაცემის კონტროლის ეროვნული მექანიზმები, ევროკავშირის სამხედრო და ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიები და საქონლის იდენტიფიკაცია ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიის მიხედვით, ტერორიზმი და კონტრტერორიზმი (ყველა არჩევითი კურსი).
3. რეკომენდებულია, გააძლიეროთ ენის ცოდნის დონე: უზრუნველყავით, რომ ყველა აკადემიური პერსონალი და ნაშრომის ხელმძღვანელი სათანადო დონეზე ფლობდეს ინგლისურ ენას, ვინაიდან პროგრამა ხორციელდება ინგლისურ ენაზე. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ენის სწავლებას ან ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის მოთხოვნას.
4. რეკომენდებულია, რეგულარული ინვენტარიზაცია: განახორციელეთ რეგულარული ინვენტარიზაცია, იმისათვის, რომ უზრუნველყოთ ყველა საჭირო მასალის ხელმისაწვდომობა სრულად და კარგ მდგომარეობაში, თავფურცელის გვერდების ჩათვლით.
5. რეკომენდებულია, უზრუნველყოთ მეტი რესურსის გამოყოფა ლიტერატურის განახლებისთვის: უსდ-ს ლიტერატურის შესაძენად განსაზღვრული აქვს მნიშვნელოვანი თანხა, თუმცა სამაგისტრო პროგრამისათვის აღნიშნული თანხა შეადგენს მხოლოდ 750 ლარს. მკვეთრად უნდა გაიზარდოს აღნიშნული თანხა, იმისათვის, რომ აკადემიურმა პერსონალმა შეძლოს თავიანთი მასალების განახლება და მასალების აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.
6. რეკომენდებულია, ყველა პროგრამაში რეგულარულ რეჟიმში, პრაქტიკაში განხორციელდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის თანმიმდევრულობას და უზრუნველყოფს მნიშვნელოვან უკუკავშირს სხვადასხვა პერსპექტივიდან.

რჩევები:

1. სასურველია, დაწესებულებამ განიხილოს ჩამოთვლილი კურსების სახელწოდებების შემოკლებული, ალტერნატიული ვერსიები: გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები სტრატეგიული საქონლის კონტროლის და საერთაშორისო ვაჭრობაზე დაწესებული

შეზღუდვების შესახებ და ევროკავშირის სამხედრო და ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიები და საქონლის იდენტიფიკაცია ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიის მიხედვით (პრაქტიკული შემთხვევები).

2. სასურველია დამატებითი მხარდაჭერის შეთავაზება სადიპლომო ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტს საკმარისი მეთოდოლოგიური ცოდნით.
3. მოწვეული პერსონალის დამატება გააძლიერებს სამაგისტრო პროგრამას და სწავლების მეთოდოლოგიას უფრო მრავალფეროვანს გახდის.
4. სასურველია, დაინერგოს სტუდენტების უკუკავშირის მექანიზმი იმისათვის, რომ მათ შეძლონ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ნებისმიერი გამოწვევის შესახებ ანგარიშის წარდგენა, განსაკუთრებით ენობრივი ბარიერების თვალსაზრისით, რაც იძლევა დროული ჩარევის საშუალებას.
5. სასურველია უკუკავშირის მექანიზმის დანერგვა - ხელმძღვანელებისთვის უკუკავშირის შედეგების გაზიარება, რათა მათ შეძლონ განახორციელონ საჭირო ნებისმიერი რეკომენდაცია პროცესის გაუმჯობესების მიზნით.
6. სასურველია ხელმძღვანელის პოლიტიკის დაზუსტება - უზრუნველყოფილი იყოს, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი სრულად იყოს ინფორმირებული სტუდენტების ხელმძღვანელობის მარეგულირებელი წესების შესახებ, მათ შორის სტუდენტების მიერ ხელმძღვანელის შეცვლის საკითხთან დაკავშირებით.
7. სასურველია საბიბლიოთეკო რესურსების გაუმჯობესება - ბიბლიოთეკას უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვანი ტექსტების სრული ასლები, განსაკუთრებით ძირითადი რესურსების ასლები, როგორიც არის კოლინ გრეის "თანამედროვე სტრატეგია", იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს სასწავლო გეგმის მოთხოვნები. დარწმუნდით, რომ ასევე დასკანერებულია წიგნის თავფურცელიც.
8. სასურველია რესურსებთან დაკავშირებით სტუდენტების უკუკავშირის შეგროვება, სისტემის ჩამოყალიბება, რომლის მეშვეობით სტუდენტები შეძლებენ უკუკავშირის წარმოდგენას საბიბლიოთეკო რესურსებთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს ხარვეზების გამოვლენას და საერთო კოლექციის გაუმჯობესებას.
9. სასურველია სტრუქტურირებული უკუკავშირის ციკლების დანერგვა იმისათვის, რომ დროულად გაზიარდეს რეკომენდაციები და/ან რჩევები თანამშრომლებთან და აკადემიურ პერსონალთან. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების შედეგები სათანადოდ იყოს განხილული და გამოყენებული გაუმჯობესების მიზნით. რეგულარული და ყოვლისმომცველი უკუკავშირი ხელს უწყობს უწყვეტ ზრდას და დაწესებულების მიზნებთან უკეთესად შესაბამისობას.
10. სასურველია, დაწესებულებამ ხელი შეუწყოს დაინტერესებულ მხარეებთან სისტემატიურ თანამშრომლობას იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური ერთობლივი მუშაობა პრობლემების გადაჭრის და განვითარების გაუმჯობესების მიზნით.
11. სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს გარე შემფასებლების რეკომენდაციების სრულად განხორციელება ან მკაფიო დასაბუთების წარმოდგენა იმის თაობაზე თუ რატომ ვერ ხორციელდება აღნიშნული რეკომენდაციები. აღნიშნული გაზრდის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის გამჭვირვალობას და ეფექტურობას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღებისას ანგარიშვალდებულებასთან ერთად უფრო სასარგებლო გახადოს ექსპერტთა მოსაზრებები.

მესამე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - გრაფიკული დიზაინი;

2. საფეხური - ბაკალავრიატი;
3. სწავლების ენა - ქართული;
4. ECTS კრედიტების რაოდენობა - 180;
5. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკულ დიზაინში;
6. დეტალური სფეროს კოდი - 0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა დიანა მჭედლიშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
აკრედიტაციის ექსპერტმა, ლევან ხარაზიშვილმა აღნიშნა, რომ „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო პროგრამის მიმართულებაზე განხორციელდა გეგმური მონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც შეფასდა აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების საკითხი 1.2. 1.1. 2.3 2.2. 2.4. და 4.1. კომპონენტებთან მიმართებით. ექსპერტების მიერ დადებითად აღინიშნა უნივერსიტეტის მიერ გადადგმული ნაბიჯები პროგრამის განვითარების მიზნით. მისი თქმით, შპს კავკასიის უნივერსიტეტმა სრულად შეასრულა გაცემული რეკომენდაციები. შესაბამისად, ყველა სტანდარტი შეფასდა სრულად შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებ ები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ მენაბდემ, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა ბევრი იმუშავა გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით. მისი თქმით, აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები პროგრამის განვითარებას ემსახურებოდა. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს დადებითი შეფასებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს პროგრამის მიმართ გაცემულ რჩევებთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, შეასრულა თუ არა დაწესებულებამ გაცემული რჩევები. ექსპერტმა ლევან ხარაზიშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციებთან ერთად უნივერსიტეტმა რჩევებიც გაითვალისწინა.

აკრედიტაციის საბჭოს სხდომა დატოვა გიორგი მირიანაშვილმა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:30
დასრულების დრო: 18:36

გადაწყვეტილება
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა შეფასება.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის უნივერსიტეტის „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული გეგმური მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

აკრედიტაციის საბჭოს კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეოთხე საკითხი: შპს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით განხორციელებული გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

პროგრამა
1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ინგლისური ფილოლოგია;
2. საფეხური - ბაკალავრიატი;
3. სწავლების ენა - ქართული;
4. ECTS კრედიტების რაოდენობა - 240;
5. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი;
6. დეტალური სფეროს კოდი - 0231 ენის დაუფლება;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს თამარ ტუფინაშვილმა და ქეთევან ნანობაშვილმა.
თვითაცილებების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
აკრედიტაციის ექსპერტმა, ეკატერინე ფიფიამ აღნიშნა, რომ პროგრამის გუნდმა ახალ ხელმძღვანელთან ერთად მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა პროგრამის განვითარების მიზნით, რაც მისასალმებელია. მისი თქმით, პროგრამის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანი რეკომენდაციები შეასრულა დაწესებულებამ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა 15 რეკომენდაცია. ხუთივე სტანდარტთან მიმართებით პროგრამა მეტწილად შესაბამისობით შეფასდა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაიზიარა ყველა რეკომენდაცია გარდა ორი რეკომენდაციისა, კერძოდ, 1.4. და 2.1. რეკომენდაციებისა, თუმცა ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ამ ორი რეკომენდაციის შესრულება ძალიან მნიშვნელოვანი იქნება პროგრამის განვითარებისთვის. 1.2. რეკომენდაცია ეხებოდა მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე სწავლის შედეგების გაერთიანებას ერთ კომპლექსურ შედეგად. სამივე სწავლის შედეგი მოიცადა კომუნიკაციის უნარს, სამიზნე აუდიტორიასთან ეფექტურ ურთიერთობას, დარგობრივი ტერმინოლოგიის გამოყენებას და არგუმენტირებულ მსჯელობას როგორც წერით, ისე ზეპირ ფორმატში. დაწესებულებამ გაიზიარა აღნიშნული რეკომენდაცია და მოხდა სწავლის შედეგის გამსხვილება. მისი თქმით, მეორე რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა პროგრამის სტრუქტურას, დაწესებულებამ არ გაიზიარა. ინგლისური ენის ცალკეული ასპექტები, კერძოდ, ტექსტის ინტერპრეტაცია, ბიზნეს ინგლისური, პრესა და სერტიფიკატი სწავლის შედეგების შემოწმების მიზნით სტუდენტისთვის ცალკეულ სასწავლო კურსებად უნდა იყოს შეთავაზებული, რათა უფრო მეტად იყოს თითოეული კომპონენტის სწავლებისა და შეფასების თავისებურებების გათვალისწინება. ამჟამად ეს ყველაფერი გაერთიანებულია ერთ ზოგად კურსში. 1.5.1 რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი შინაარსით იყო მოცემული: „რეკომენდებულია პროგრამის ფარგლებში არსებულ ინგლისური ენის პრაქტიკულ სასწავლო კურსებში ენის სწავლების თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით განახლდეს ლიტერატურა“. მოცემული რეკომენდაცია დაწესებულებამ გაითვალისწინა. მისი თქმით, რეკომენდებულია ინგლისური ენა 4, 5 და 6 ბიზნეს ინგლისურის ასპექტში შეირჩეს შესაბამისი ლიტერატურა, რომელიც უზრუნველყოფს სილაბუსის თემატიკით გათვალისწინებული საკითხების შესწავლასა და კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნული რეკომენდაცია სრულად გაიზიარა უნივერსიტეტმა. 1.5.3 რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი შინაარსით იყო მოცემული: „რეკომენდებულია სასწავლო კურსში „შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში“ დაემატოს ისეთი ლიტერატურა, რომელიც უკვე არსებულ სავალდებულო ლიტერატურასთან ერთად უზრუნველყოფს სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას“. მოცემული რეკომენდაციაც უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ სრულად გაიზიარა. ეკატერინე ფიფიამ, 1.5.4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის მერვე სემესტრში სტუდენტები გადიოდნენ პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც მოიცავდა 10 კრედიტს. პროგრამის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე პრაქტიკის კომპონენტით გათვალისწინებულია თარგმანის უნარისა და ინგლისური ენის საკომუნიკაციო უნარების განვითარება, თუმცა ინტერვიუებიდან გაირკვა, რომ სტუდენტების გარკვეული

რაოდენობა პრაქტიკის ნაწილს გადიოდა სკოლაში ინგლისური ენის სწავლების მიმართულებით. დამსაქმებლებთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ პროგრამა თავისი შინაარსით ამზადებდა სტუდენტს ინგლისური ენის სწავლების მიმართულებით, თუმცა პროგრამის სტრუქტურაში არ იყო გათვალისწინებული არც ერთი ისეთი სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტს მისცემდა აღნიშნული მიმართულებით კომპეტენციას. აღნიშნულ რეკომენდაციას უნივერსიტეტი დაეთანხმა და გამოთქვა მზაობა, რომ მომავალში შეასრულებდა. 1.5.5 რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი ფორმულირებით იყო წარმოდგენილი: „რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „ინგლისური ენა სპეციფიკური მიზნებისთვის-სამართალი“ შინაარსი ითვალისწინებდეს ევროპული კანონმდებლობის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და დარგის სხვა აქტუალური საკითხების გაცნობას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზს, კულტურათაშორის კომუნიკაციასა და სამართლებრივ ეთიკას“. აღნიშნული რეკომენდაციაც უნივერსიტეტმა გაიზიარა. ეკატერინე ფიფიას თქმით, პროგრამაზე მიღების წინაპირობებთან დაკავშირებული რეკომენდაცია უნივერსიტეტმა არ გაიზიარა, კერძოდ, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად დაწესებულებას უნდა აეწია ინგლისური ენის მინიმალური კომპეტენციის კანონმდებლობით დადგენილი ზღვარი - 20% ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დროს. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პროგრამაზე მომუშავე გუნდმა ეს სიახლე შემოიტანა, რადგან მათ 2023 წელს საერთოდ არ ჰქონდათ განსაზღვრული ინგლისური ენა სავალდებულოდ ჩასაბარებელ ენად. შესაბამისად, ამ კუთხით განხორციელდა ცვლილება, თუმცა ექსპერტები მიიჩნევენ, რომ შემოთავაზებული ზღვარი 20% დაბალია და უნდა აიწიოს. იქიდან გამომდინარე, რომ მნიშვნელოვნად გაძლიერდა პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი ეს მაინც არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ისინი მიიღებენ ისეთ სტუდენტებს, რომლებსაც ექნებათ A2 დონე. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა იმას, რომ დაწესებულებას ურთიერთშეთანხმების ფარგლებში გაეფორმებინა მემორანდუმები დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით და მხოლოდ პროგრამის შესაბამისი პრაქტიკის ობიექტი ყოფილიყო შეთავაზებული სტუდენტისთვის, რადგან როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, დაწესებულებას მემორანდუმები გაფორმებულები აქვს სკოლებთან. ასევე რეკომენდებული იყო სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი მექანიზმების ამოქმედება, რომ სტუდენტებს მიეღოთ მონაწილეობა საერთაშორისო აქტივობებში. დაწესებულებამ ზემოხსენებულ ორივე რეკომენდაციის შესრულებაზე მზაობა გამოთქვა. რეკომენდებული იყო დაწესებულებას შეემუშავებინა მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი, უნივერსიტეტში მოწვეული პერსონალის დასაქმების მეტი გამჭვირვალობის მიზნით. ასევე რეკომენდებული იყო ახალი მემორანდუმების მომზადება, პარტნიორ დაწესებულებებთან პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემდგომი პროფესიული მხარდაჭერის განვითარების მიზნით. უნივერსიტეტმა ორივე რეკომენდაცია სრულად გაიზიარა. ეკატერინე ფიფიამ აღნიშნა, რომ მეხუთე სტანდარტში გაცემული იყო სამი რეკომენდაცია, კერძოდ, რეკომენდებულია განახლდეს და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოვიდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მარეგულირებელი წესები. ასევე განხორციელდეს სტუდენტების მიერ პროგრამისა და სასწავლო კურსების შეფასების სრულყოფილი კვლევა გამიზნული მეთოდოლოგიის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით და მიზნობრივად გაფართოვდეს დამსაქმებელთა წრე და მათი ჩართულობა როგორც საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების, ისე საუნივერსიტეტო კვლევების პროცესებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

პროგრამის ხელმძღვანელი, ლაშა ჩახვაძე, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია შეასრულა გარდა ორი რეკომენდაციისა. განახლდა შეფასების მეთოდები

და დაიხვეწა პროგრამა. ასევე განახლდა ინფრასტრუქტურა ინგლისური ფილოლოგიისთვის, რომელიც ძალიან კარგი იქნება მოსმენის გაუმჯობესების მიზნით. გარდა ამისა, პროგრამაში არის სიახლე პრაქტიკის კომპონენტის სახით. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ პროგრამაზე არსებობს გამოწვევები. 1.4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაში, ინგლისური ენის პრაქტიკული კურსების სწავლების ფილოსოფია ემყარება საერთო სილაბუსის (მოდულის) საფუძველზე ენის სწავლებას. ეს გულისხმობს, რომ შესაბამის ენობრივ დონეზე, მოდულში შემავალი ასპექტები (კურსები) ურთიერთკავშირში ქმნიან ენის დაუფლებისთვის საჭირო კომპეტენციებს ენების სარეკომენდაციო ევროპული ჩარჩოთი განსაზღვრული ენის დონეების მისაღწევად. ენის სწავლების ეს ტრადიციული, ჰოლისტური მიდგომა საქართველოში დიდი ხანია არსებობს. დაწესებულებას მიაჩნია, რომ საერთო სილაბუსით ურთიერთდაკავშირებული კურსების სწავლება ხელს უწყობს პროგრამის შედეგებზე უფრო ეფექტიანად გასვლას. ამგვარადაა აგებული მოდულები არა მხოლოდ „ინგლისურ ენა 4, 5, 6“ კურსების შემთხვევაში, არამედ „ინგლისური ენა 1, 2, 3“ კურსების კუთხითაც. მაღალი დონის მოდულების დაშლა, ასევე დღის წესრიგში დააყენებს ქვედა დონის მოდულების დაშლის საკითხს და ცალკეული კურსების გარეთ გატანის აუცილებლობას. ეს თეორიულადაც და პრაქტიკულადაც პრობლემური ჩანს არსებული კურიკულუმის ფარგლებში. მაღალი დონის კურსებში შეთავაზებულია ტექსტის ინტერპრეტაცია, პრესა, ბიზნეს ინგლისური ან საერთაშორისო ინგლისური ენის გამოცდის კურსი, მაგრამ არსებობს გარკვეული პრაქტიკა, როდესაც საერთო სილაბუსები ემყარება არა კონკრეტული უნარების ჯამს (წერა, კითხვა, ლაპარაკი, მოსმენა), არამედ ამგვარ მიდგომასაც, მაგალითად როდესაც კულტურასთან დაკავშირებული საგანი, რომელიც ლინგვისტური ენობრივი კუთხით ისწავლება, იყოს საერთო სილაბუსში. ექსპერტთა ძირითადი შენიშვნა იყო, რომ საერთო შედეგების გაზომვის კუთხით ამ საგნების ერთად ყოფნა გარკვეულ პრობლემას ქმნიდა. მათი ძირითადი არგუმენტი იყო ის, რომ მოდულში შემავალი ოთხი საგნიდან სტუდენტი ვერ ხედავდა საკუთარ შეფასებას. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ტექნიკურად ეს პრობლემა არსებობდა, რადგან ჯერ-ჯერობით ელექტრონულ სისტემაში ეს არ ჩანდა, თუმცა ამაზე მიმდინარეობს მუშაობა. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტს, ინდივიდუალურად, დღესაც შეუძლია ცალკეული კურსის პედაგოგისაგან მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია მიღებული ქულების შესახებ, რომელთა შეტანაც ხდება სისტემაში, დაჯამების შემდეგ. მისი თქმით, საერთო მოდულში შემავალი ოთხივე საგანი აუცილებლია ერთად იყოს იმიტომ, რომ უნივერსიტეტი გავიდეს ენების ევროპული ჩარჩოთი განსაზღვრულ საერთო შედეგზე. მაგალითად, ტექსტის ინტერპერეტაციის სასწავლო კურსი უკავშირდება კითხვის უნარის გაუმჯიბესებას, ტექსტის საერთო საზრისის გაგებას და ა.შ. რაც შეეხება პრესის ინგლისურს, ამ საერთო მოდულში ისწავლება იმ მოცულობით, რაც გათვალისწინებულია ზოგადი ინგლისური ფარგლებში. ეს არ არის კნკრეტული მიმართულებისთვის განკუთვნილი საგანი. მან აღნიშნა, რომ დასაქმების სფეროებად განსაზღვრული იყო ის ორგანიზაციები, სადაც მოთხოვნა იყო მასის უნარ-ჩვევები საჭირო. დაწესებულება ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ უნდა დაიხვეწოს მოდულში შემავალი ცალკეული კურსების შეფასებისა და სწავლა სწავლების მეთოდები, თუმცა მოდულის დაშლისა და ცალკე გასვლის საკითხს უნივერსიტეტი არ ეთანხმება. 2.1 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეროვნულ გამოცდა, აპლიკანტის B1 დონეს ამოწმებს. გამოცდაზე მისაღები ქულის მინიმალურ ზღვარს განსაზღვრავს გამოცდების ეროვნული ცენტრი, რაც სავალდებულოა უნივერსიტეტისათვის. პროგრამაში, მსგავსად საქართველოში არსებული ინგლისური ფილოლოგიის ქართულენოვანი პროგრამების უმრავლესობისა, დასაშვებ ბარიერად განსაზღვრულია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დაწესებული მოთხოვნილი მინიმალური ზღვარი. ამ ეტაპზე, პროგრამაზე არსებობს ყველა შესაძლებლობა, რომ იმ სტუდენტმა , რომელსაც გამოცდების შედეგად დაუდასტურდა სახელმწიფოს მიერ მოთხოვნილი კომპეტენცია, ინგლისური ენის უნარები გაიუმჯობესოს სწავლის პერიოდში, რაც პროგრამის მიზანსაც წარმოადგენს. აქ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები: ა) პროგრამის სტუდენტი პირველივე სემესტრში

იწყებს B1.1 დონის ინგლისური ენის ინტენსიურ კურს, რომელიც კვირაში 6 საკონტაქტო საათს მოიცავს ოთხივე ენობრივი უნარ-ჩვევის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული კურსის გავლა წარმოადგენს წინაპირობას, რომ სწავლა გააგრძელოს შემდგომ საფეხურზე ინგლისური ენის პრაქტიკის კურსებზე. შესაბამისად, იმ სტუდენტს, რომელსაც ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური ენის B1 დონის გამოცდაზე მინიმალური კომპეტენცია უკვე დაუდასტურდა, დაწესებულება პირველივე სემესტრში სთავაზობს კვლავ B1.1 დონის კურსს, რაც სტუდენტის დონის ადეკვატური იქნება და ხელს შეუწყობს მისი ენობრივი კომპეტენციების გაუმჯობესებას და შემდგომში სწავლის გაგრძელებას სხვა ენობრივ კურსებზე. ბ) პროგრამაში, მხოლოდ ინგლისური ენის პრაქტიკული კურსების სწავლების ფარგლებში, B2 დონის მისაღწევად განსაზღვრულია 818 საკონტაქტო საათი, რაც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას თანხვდება, რომელიც საწყისი დონიდან B2 დონის ჩათვლით არის საჭირო. შესაბამისად, პროგრამაში ამ კუთხით ყველა წინაპირობა არსებობს, რომ სტუდენტმა შეძლოს პროგრამით განსაზღვრული დონის მიღწევა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის პერსონალი არის კვალიფიციური გუნდი, რომელსაც აქვს შესაბამისი კომპეტენცია, რომ სტუდენტმა შესაბამისი ცოდნა გააუმჯობესოს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შესაბამისად. 14 ინგლისური ფილოლოგიის პროგრამიდან დაახლოებით 8 ქართულენოვან პროგრამაზე ის არსებული ზღვარი, რომელიც დაწესებულებას გააჩნია, სხვა ინგლისურენოვან პროგრამებზეც არსებობს. ექსპერტის განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ სტუდენტს შეიძლება A2 დონეც არ დაუდასტურდეს, არ არის რელევანტური, რადგან გამოცდების ეროვნული ცენტრი ინგლისური ენის საგამოცდო პროგრამაში წერს, რომ გამოცდა B1 დონისაა. იმ ქულას, რომელსაც იღებს სტუდენტი, ასახავს B1 დონის ფარგლებში მიღებულ ქულას. იმ პირობებში, როდესაც დიდი რაოდენობაა საკონტაქტო საათების მოცემული, არის შესაბამისი კვალიფიციური პერსონალი და ამავე დროს პირველივე სემესტრში მინიმალური კომპეტენციის მქონე სტუდენტს შეთავაზებული აქვს B1.1. დონის სასწავლო კურს. შესაბამისად, აქ დადგენილი ზღვრული დონის აწევა პრობლემას შეუქმნის იმ სტუდენტებს, რომლებსაც სურთ ინგლისური ფილოლოგიის შესწავლა. ექსპერტმა ეკატერინე ფიფიამ განმარტა, რომ დარწმუნებით ვერ იტყოდა იმას, რომ ტესტი ადასტურებდა B1 დონეს. თეორიულად არსებობს იმისი შანსი, რომ დაწესებულებამ მიიღოს A1 და A2 დონის სტუდენტი. თუ უნივერსიტეტი ოფიციალურად გამოითხოვს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან რანჟირების დოკუმენტს დონეების მიხედვით, მაშინ ნახავს რეკომენდაციის გაცემის საფუძველს. „ბენჩმარკინგთან“ დაკავშირებით აღნიშნა, რომ სხვადასხვა უნივერსიტეტებში არსებობდა ამისი გამოცდილება, თუმცა არა „FCE” მიმართებით. ეს უკანასკნელი არის ძალიან სპეციფიკური ასპექტი, რომელიც პირს ამზადებს „კემბრიჯის“ გამოცდისთვის და არ შეიძლება მას ჰქონდეს ერთიანი სწავლების მეთოდები და შედეგები. პროგრამის ხელმძღვანელმა, ლაშა ჩახვაძემ განაცხადა, რომ ოფიციალური დოკუმენტაციაში, რომელიც არსებობს, მითითებულია B1 დონის გამოცდა. არსებული 14 პროგრამიდან მხოლოდ 8 პროგრამას აქვს 20% მითითებული. უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს B1.1 დონის კურს. მას შესაძლებლობა აქვს პირველივე სემესტრიდან გაიუმჯობესოს საკუთარი კომპეტენცია მოცულობითი საათის ფარგლებში. კვალიფიკაცია არის უცხოური ენა. შესაბამისად, დაწესებულებას შეუძლია სტუდენტს ასწავლოს უცხოური ენა საწყისი საფუძვლებიდან. თუ უნივერსიტეტი მიიღებს უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე სტუდენტს, მაშინ აქ აქცენტი გაკეთდება არა უცხოური ენის დაუფლების სწავლებაზე, არამედ ლინგვისტიკაზე, თეორიულ ლიტერატურულ საკითხებზე და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას მეორე რეკომენდაციასთან დაკაშირებით. მისი თქმით, უნივერსიტეტი არ არღვევდა კანონით დადგენილ მოთხოვნებს და შესაბამისად ეს რეკომენდაცია არ უნდა გაცემულიყო. მას აინტერესებდა, ხომ არ აჯობებდა ეს რეკომენდაცია რჩევებში გადატანილიყო. ექსპერტმა ეკატერინე ფიფიამ აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების მიმართებასთან დაკავშირებით იქნება

პრობლემა თუ თეორიულად მაინც იარსებებს იმის შანსი, რომ დაწესებულება მიიღებს A1 დონის სტუდენტს. B1.1 დონით დაწყებული სასწავლო კურსით შეუძლებელია სწავლის შედეგზე გასვლა. მისი თქმით, თუ ეს არის უცხოური ენის სწავლება, მაშინ რა განსხვავებაა საბაკალავრო პროგრამებთან მიმართებაში. შესაბამისად, კარგი იქნება თუ ეს რეკომენდაცია ისევ რეკომენდაციის სტატუსით დარჩება იმიტომ, რომ შეუძლებელია ამ მდგომარეობით სწავლის შედეგების მიღწევა. ექსპერტმა ნინო ქიმერიძემ აღნიშნა, რომ უცხო ენაზე უნდა კეთდებოდეს აქცენტი, რადგან ფილოლოგიის დარგები ისწავლება ასე. კვალიფიკაცია სტუდენტს არ უნდა მიეცეს თუ მას საფუძვლიანად არ აქვს გავლილი პრაქტიკული ენა, ლინგვისტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა. ამ ჩანაწერის მართებულობა ექსპერტების მხრიდან სწორად განისაზღვრა. შესაბამისად, ეს უნდა იყოს რეკომენდაცია და არა რჩევა. მან აღნიშნა, რომ „ფილოლოგიის შესავალში“ სასწავლი მასალა მხოლოდ ინგლისურ ენაზე რიდერის სახით არის მოცემული. შესაბამისად, ინგლისური ენის კომპეტენციის არმქონე სტუდენტს გაუჭირდება ამ კურსის გავლა. სწორედ ეს მოცემულობა გახდა იმის საფუძველი, რომ ენის ფლობის ზღვარი წინ პლანზე წამოწეულიყო. ლაშა ჩახვაძემ აღნიშნა, რომ ლიტერატურასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას უნივერსიტეტი იზიარებდა. ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც არსებობს რანჟირებასთან დაკავშირებით, საგამოცდო პროგრამებში ოფიციალურად წერია, რომ ეს არის B1 დონის სირთულის გამოცდა. არსებობს ტესტი, რომელიც ზომავს ცოდნის დონეს, და კონკრეტულ შედეგს იძლევა. გარდა ამისა, არსებობს ტესტი, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ არის დადგენილი და ზუსტად იძლევა იმის შესახებ ინფორმაციას, რომ ტესტი B1 დონისაა. შესაბამისად, ამ ტესტით დგინდება ინგლისური ენის B1 დონე. რაც შეეხება იმ საკითხს, რომ გამოცდაზე არ ბარდება საუბრის დონის შესაბამის გამოცდა და ეს კომპეტენცია შეუფასებელი რჩება, განაცხადა, რომ ტესტები, რომლებიც „ოქსფორდს“ აქვს მოიცავს მხოლოდ ლექსიკურ-გრამატიკულ ნაწილს. ეს ტესტი ხშირ შემთხვევაში მოსმენის ნაწილს არ მოიცავს. ამგვარი ტესტი დასაშვებია. შესაბამისად, დაწესებულება მოქმედებს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, 2.2. სტანდარტთან მიმართებაში იყო თუ არა წინა წარმოების დროს გაცემული რეკომენდაცია, რომ დარგის სპეციფიკის მემორანდუმები ჰქონოდა დაწესებულებას სკოლებთან გაფორმებული. ექსპერტმა ეკატერინე ფიფიამ აღნიშნა, რომ წინა წარმოების დროს გაცემული დარგთან დაკავშირებული რეკომენდაციები ისევ ძალაში დარჩა. 2.2 სტანდარტში მოცემული რეკომენდაცია ეხებოდა მხოლოდ პრაქტიკის კომპონენტის არსებობას პროგრამაში. ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ დაწესებულებას ეს რეკომენდაცია შესრულებული აქვს. მას აინტერესებდა, შეიძლებოდა თუ არა აღნიშნული რეკომენდაციის რჩევებში გადატანა. ექსპერტმა ეკატერინე ფიფიამ აღნიშნა, რომ წინა ჯგუფის რეკომენდაცია იყო, რომ პრაქტიკის კომპონენტი ყოფილიყო ინგლისურ ფილოლოგიაში, რომელიც გაითვალისწინა დაწესებულებამ, თუმცა პროცესში მოხდა განსხვავებული მიდგომა. მისი თქმით, სკოლა ვერ იქნება პრაქტიკის ობიექტი. საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რეკომენდაციების შესრულება რამდენად შესაძლებელი იყო 60 დღის ვადაში. ექსპერტმა, ეკატერინე ფიფიამ აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო 60 დღის ვადაში ყველა რეკომენდაციის შესრულება, რადგან უნივერსიტეტს ძალიან მნიშვნელოვანი სამუშაო ჰქონდა ჩატარებული პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:31
დასრულების დრო: 20:16

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებისთვის არაუმეტეს 60

კალენდარული დღის მიცემის საკითხი ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესასრულებლად.

აკრედიტაციის საბჭოს კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე შპს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას განესაზღვროს არაუმეტეს 60 კალენდარული დღე, ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების გამოსასწორებლად.

პროგრამას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:
1.2. რეკომენდებულია პროგრამის მე-5, მე-6 და მე-7 სწავლის შედეგები გაერთიანდეს ერთ კომპლექსურ შედეგად, რომელიც სრულად მოიცავს ინგლისურ ენაზე პროფესიული კომუნიკაციის ყველა აუცილებელ კომპონენტს - სამიზნე აუდიტორიასთან ეფექტიან ურთიერთობას, დარგობრივი ტერმინოლოგიის გამოყენებას და არგუმენტირებულ მსჯელობას როგორც წერით, ისე ზეპირ ფორმატში;
1.5.2. რეკომენდებულია ინგლისური ენა 4, 5 და 6 ბიზნეს ინგლისურის ასპექტში შეირჩეს შესაბამისი ლიტერატურა, რომელიც უზრუნველყოფს სილაბუსის თემატიკით გათვალისწინებული საკითხების შესწავლასა და კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას;
1.5.5. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის ‘ინგლისური ენა სპეციფიური მიზნებისთვის - სამართალი’ შინაარსი ითვალისწინებდეს ევროპული კანონმდებლობის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და დარგის სხვა აქტუალური საკითხების გაცნობას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზს, კულტურათაშორის კომუნიკაციასა და სამართლებრივ ეთიკას;
4.1. რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი, დაწესებულებაში მოწვეული პერსონალის დასაქმების მეტი გამჭვირვალეობის მიზნით;
5.1.1. რეკომენდებულია განახლდეს და კანონდებლობასთან შესაბამისობაში მოვიდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მარეგულირებელი წესები;

რჩევები:
1.3. სასურველია, დაწესებულებამ სწავლის შედეგების სისტემური შემოწების მიზნებისთვის გამოიყენოს ციფრული პლატფორმა, რაც ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების შეფასების პროცესის ავტომატიზაციას, მონაცემების ეფექტურ შეგროვებასა და ანალიზს, ასევე შეფასების შედეგების უფრო სწრაფ და ზუსტ დამუშავებას;
4.3.1. სასურველია გაფართოვდეს ინტერნაციონალიზაციის დარგზე მორგებული ქსელი;
1.4. ინგლისური ენის ცაკლკეულ ასპექტებში (ტექსტის ინტერპრეტაცია, ბიზნეს ინგლისური, პრესა, სერტიფიკატი (FCE)) სწავლის შედეგების მიღწევადობის შემოწმების მიზნით რეკომენდებულია ამ ასპექტების ცალკეულ სასწავლო კურსებადშეთავაზება;
1.5.1. რეკომენდებულია პროგრამის ფარგლებში არსებულ ინგლისური ენის პრაქტიკულ სასწავლო კურსებში ენის სწავლების თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით განახლდეს ლიტერატურა;

1.5.3. რეკომენდებულია სასწავლო კურსში 'შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში' დაემატოს ისეთი ლიტერატურა, რომელიც უკვე არსებულ სავალდებულო ლიტერატურასთან ერთად უზრუნველყოფს სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
1.5.4. რეკომენდებულია პრაქტიკის კომპონენტის დახვეწა პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან მიმართებაში;
2.1. დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად დაწესებულებამ აწიოს ინგლისური ენის მინიმალური კომპეტენციის კანონმდებლობით დადგენილი ზღვარი - 20% ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დროს;
2.2. დაწესებულებამ, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გააფორმოს ურთიერთშეთანხმების მემორანდუმები დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით და მხოლოდ პროგრამის შესაბამისი პრაქტიკის ობიექტები შესთავაზოს სტუდენტებს;
3.1. რეკომენდებულია სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი მექანიზმების ამოქმედება, რომ სტუდენტებმა მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო აქტივობებში;
4.3.1. რეკომენდებულია მომზადდეს ახალი მემორანდუმები პარტნიორ დაწესებულებებთან პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემდგომი პროფესიული მხარდაჭერის განვითარების მიზნით;
5.1.2. რეკომენდებულია განხორციელდეს სტუდენტების მიერ პროგრამისა და სასწავლო კურსების შეფასების სრულყოფილი კვლევა გამიზნული მეთოდოლოგიის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით;
5.2.1. რეკომენდებულია მიზნობრივად გაფართოვდეს დამსაქმებელთა წრე და მათი ჩართულობა როგორც საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების, ისე საუნივერსიტეტო კვლევების პროცესებში;

მეხუთე საკითხი: ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "აუდიოვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №41761 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მომართვის საფუძველზე (ცენტრში რეგისტრაციის ნომერი: 1571639, 06/12/2024), ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, რომელიც ეხებოდა ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „აუდიოვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში ტექნიკური ხარვეზების გასწორებას. კერძოდ ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, საგანმანათლებლო პროგრამას აქვს დაშვების წინაპირობა, რომელიც მოიცავს შემოქმედებით ტურს. აღნიშნული საკითხი მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამის აღწერით ნაწილში, თუმცა მითითებული ინფორმაცია არ აისახა არც ექსპერტთა დასკვნაში და არც აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სხდომაზე დამსწრე წევრებს არსებობის შემთხვევაში წარმოედგინათ მოსაზრებები. საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები ან მოსაზრებები არ ჰქონდათ.

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "აუდიოვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №41761 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „აუდიოვიზუალური ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 იანვრის №41761 გადაწყვეტილების დანართ №1 -ში "დაშვების წინაპირობების" ველში დაემატოს - "შემოქმედებითი ტური".

მეექვსე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "საზოგადოებასთან ურთიერთობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 დეკემბრის №1626329 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მომართვის საფუძველზე, ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, რომელიც ეხებოდა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "საზოგადოებასთან ურთიერთობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში ტექნიკური ხარვეზების გასწორებას. კერძოდ ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტებში პროგრამის სახელწოდებად განსაზღვრულია "საზოგადოებასთან ურთიერთობა(PR)" და ჯამურად შედგება 180 ECTS კრედიტისგან, თუმცა მითითებული ინფორმაცია ტექნიკური უზუსტობით იქნა ასახული აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების დანართში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სხდომაზე დამსწრე წევრებს არსებობის შემთხვევაში წარმოედგინათ მოსაზრებები. საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები ან მოსაზრებები არ ჰქონდათ.

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "საზოგადოებასთან ურთიერთობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 დეკემბრის №1626329 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "საზოგადოებასთან ურთიერთობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 18 დეკემბრის №1626329 გადაწყვეტილების დანართ №1 -ში "საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების" ველში

შესაბამისი ინფორმაციის ფორმულირება მოხდეს შემდეგი სახით: *„საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR)”* და "ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობის" ველში შესაბამისი ინფორმაციის ფორმულირება მოხდეს შემდეგი სახით: *"180".*

საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2024 წლის 27 დეკემბრის 20:17 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ